ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

„ყველა ღარიბი კიდევ უფრო მეტად გაღარიბდება“ გვ.5



9 ივნისიდან
საქართველოს მეფეთა ისტორია
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

პარასკევი, 9 ივნისი, 2017 №135 (7370) ფასი: 50 თეთრი

აშშ-ში მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდებით 15 ქართველი დააკავეს

გვ.7

მათ შორისაა 2 სპორტსმენი – ავთანდილ ხურციძე და ლევან მაყაშვილი

გვ.7

„8 პოლიციელი ურტყამდა, ერთ-ერთი ფარნით გაუპატიურებით დაემუქრა“

რა მოხდა მე-10 განყოფილებაში

„კალაძის გაძლიერება „ქართულ ოცნებას“ დაშლის“

გვ.4

სევდია უგრეხელიძე: „ზაალ უდუმაშვილი კალაძის სერიოზული კონკურენტი იქნება“

საინფორმაციო წერილი პატრიარქსა და სინოდს

გვ.3



გვ.5

მსოფლიო ომი ყატარიდან დაიწყება?

მიხეილ რამიშვილი: „პატრიარქთან ჩვენს შეხვედრას ვილაც ბლოკავს“

გვ.2

რევაზ არველაძე: „გაზის ტარიფი რეგიონებში უფრო გაიზრდება, ვიდრე თბილისში“

გვ.6

ISSN 1987-9385
9 771987 938006

გვ.2

გიორგი აბაშიშვილი: „ირაკლი კობახიძის განცხადებებს იუმორით უნდა შევხედოთ“

პარლამენტის თავმჯდომარისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაპირისპირება გრძელდება

მიხეილ რამიშვილი: „პატრიარქთან ჩვენს შეხვედრას ვილაც ბლოკავს“

შორენა მარსაგიშვილი

დღეს, 9 ივნისს, ციანიდის საქმის არსებითი განხილვა იწყება. საზოგადოება ახალი სკანდალის მოლოდინშია, რადგანაც ყველა სასამართლო, რომლებიც ამ საქმეზე გაიმართა, სკანდალით დასრულდა ან სკანდალური გაგრძელება მოჰყვა.

ბოლო დროს კი ისე განვითარდა მოვლენები, რომ ციანიდი ყველას დაავიწყდა. საპატრიარქოს იურისტმა ედიშერ ქარჩავამ პატრიარქის მოკვდინების მცდელობაზე გააკეთა განცხადებები და ეს ჭყონდიდელ მიტროპოლიტს დასდო ბრალად. იურისტის მტკიცებით, მას ამის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც აქვს.

საპატრიარქო თავისი იურისტის განცხადებებს გაემიჯნა და მას მსგავსი განცხადებების თავის შეკავება ურჩია. ქარჩავა აშკარად თავშეკავებულია, მაგრამ მის წინააღმდეგ სარჩელი მაინც შეაქვთ. საპატრიარქოს იურისტს, დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატებიც უჩივიან. ჩივილით ქარჩავაც იმუქრება.

რა დაუბარა საპატრიარქოს იურისტმა ადვოკატებს, რატომ არ უნდათ მათი შეხვედრა პატრიარქთან, დაუშვებენ თუ არა სახალხო დამცველს სასამართლო პროცესზე და რა მოჰყვება მისთვის უარის თქმას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ადვოკატი მიხეილ რამიშვილი ესაუბრება.

მიხეილ რამიშვილი:

– სასამართლოს წინ ჩვენ, ადვოკატები, შევხვდით მამა გიორგის. ეს არის ჩვეულებრივი ამბავი. მთავარია, მამა გიორგი თავს იმედიანად გრძნობს და მასთან ერთად ჩვენც გვჯერა, რომ სიმართლე გაიმარჯვებს.

სასამართლოსთვის ისე მოვემზადეთ, როგორც წესია. ჯერ შესავალი სიტყვა გვექნება სათქმელი, მერე დავიწყებთ რიგი საკითხების გამოკვლევას. პარალელურ რეჟიმში გადაწყდება სახალხო დამცველის დასწრება-არდასწრების საკითხი.

წინა სხდომაზე ის სასამართლოს ვერ დაესწრო. იმ დღესვე მან დაასაბუთა, რომ სასამართლომ მასთან კანონი დაარღვია.

– თქვენი აზრით, წავა სასამართლო დათმობაზე და დაუშვებს სახალხო დამცველს პროცესზე?

– სასამართლო ამ ამბავში დათმობაზე წავიდა. ნანუაშვილი სასამართლოს დაესწრება. სხვანაირად რომ გადაეწყვიტათ, ეს იქნებოდა საერთაშორისო სამართლისა და ევროპული კონვენციის უარყოფა. ასეთი სამარცხვინო პრეცედენტი რომ დაეშვათ, მაშინ ევროსაბჭოს წევრებიც აღარ უნდა ვყოფილიყავით.

– წინა სხდომაზე ხომ მოხდა ასეთი პრეცედენტი?

– იმას, რაც მოხდა, მთლად იმას ვერ დავარქმევთ, რომ სახალხო დამცველი სხდომაზე არ შეუშვეს. მოსამართლემ სხდომის დაწყებამდე დააფიქსირა თავისი პოზიცია. ჯობდა, სახალხო დამცველი შემოსულიყო სხდომაზე და მერე გაკეთებულიყო განცხადება.

იმ დღეს მოსამართლემ დახმარებაც კი გვთხოვა ამ საკითხის გარკვევაში. წესით, ის უნდა გვეხმარებოდეს აქეთ. ჩვენ 9 ივნისს აუცილებლად დავეხმარებით, თანაც ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია და სახალხო დამცველი სასამართლოს დაესწრება.

– 9 ივნისს, სასამართლო პროცესის პარალელურად, საპატრიარქოს იურისტის წინააღმდეგ შეგაქვთ სარჩელი. ამასთან დაკავშირებით უფრო კონკრეტულად რას გვეტყვით?

– საჩივარი შეგვაქვს იმ ცილისწამებაზე, რომელიც ედიშერ ქარჩავას მხრიდან გაისმა მამა გიორგის მისამართით. რაღაც ანგარებაზე საუბრობდა, ამტკიცებდა, რომ 50 მილიონის გათეთრებას აპირებდა საპატრიარქოს სახელითა და მისი გვერდის ავლით. ამ დროს ჩვენ წარმოვადგინეთ საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ მამა გიორგის პატრიარქის მინდობილობა ჰქონდა.

არ შეიძლება, ქველმოქმედება კრიმინალად და ფულის გათეთრებად მონათლო. ამიტომაც იყო, რომ ქარჩავას მთელი საპატრიარქო გაემიჯნა.

– როდესაც მან 50 მილიონი ევროს გათეთრებაზე განცხადება გააკეთა, თქვენ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ქარჩავა დროს ასწრებს, ის კი, ვინც დროს გაასწრებს, წააგებსო.

– რა გინდათ, მართალი მითქვამს, დროს გაასწრო და წააგო კიდევაც. მის განცხადებებს საპატრიარქო ოფიციალურად გაემიჯნა. ეს კი სერიოზული წაგებაა.

– 50 მილიონი ევროს გათეთრების გარდა, მან კიდევ ბევრი სკანდალური განცხადება გააკეთა, მათ შორის, თქვენი ადვოკატების მიმართაც. ამის გამოც აპირებთ ჩივილს?

– 6 ივნისს ტვ პირველზე გადაცემა რეაქციაში ციანიდის საქმეზე იყო მსჯელობა. გადაცემაში მიწვეული იყო ჩემი კოლეგა გიორგი ფანცულაია. ბატონი ქარჩავა ეთერში სატელეფონო კავშირზე გამოვიდა და ფანცულაიას კორექტულობისკენ მოუწოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრა, რომ ადვოკატთა ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართავდა.

მე მას იმ დღესაც შევუთვალე და ახლაც გავიმეორებ, რომ ბატონ ედიშერს არ დაავიწყდეს, ჩემ წინააღმდეგ რა აქვს ეთერში ნათქვამი. მე მან საპატრიარქოს იმიჯის შელახვაც კი დამბრალა, მომიხსენია რომელიღაცა დაჯგუფების წევრად და ამტკიცებდა, რომ ვიღაც მმართავდა.

– მეუფე პეტრეზე ამბობდა ამას.

– მეუფე პეტრეზე ამბობდა. მე მეუფეს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ის მე არ მმართავს. მიხეილ რამიშვილს ვერავინ მართავს. ქარჩავას განცხადებები არის ჩემი პატივისა და ღირსების შელახვა. მე ვურჩევ, თავი დაანებოს დროისთვის გასწრებას, თორემ ისევ წააგებს.

ამ ბრალდებებს თავს თუ არ დაანებებს, სხვანაირად დავუყენებ საკითხს. ადვოკატებს გვაქვს ეთიკის კოდექსი. ის აუცილებლად მიიღებს პასუხს და ისე ვეღარ შეკერავს, როგორც მას სურს.

– ცნობილი გახდა, რომ პატრიარქი მზად იყო, მამა გიორგის ოჯახის წევრებს შეხვედროდა, მაგრამ ეს შეხვედრა ჩაიშალა. ოჯახს სურდა, შეხვედრას ადვოკატებიც დასწრებოდით, რაც საპატრიარქოში ვილაცამ დაუშვებლად მიიჩნია და შეხვედრაც ჩაიშალა. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?

– ეს შეხვედრა 5 ივნისს, 13.00 საათზე უნდა გამართულიყო. ჩვენ, ადვოკატებმა, ვიცოდით, რომ შეხვედრას ჩვენც დავესწრებოდით. 4 ივნისს დამირეკეს და მითხრეს, რომ აქამდე მოწოდებული ინფორმაცია გაუგებრობა იყო.

– რა იყო გაუგებრობა, რომ თქვენც უნდა მისულიყავით პატრიარქთან?

– ეს მათ უწოდეს გაუგებრობა, თორემ მე ამას გაუგებრობად არ ვთვლი. მითხრეს, რომ ოჯახის წევრებს ჩვენ გარეშე შეეძლოთ შეხვედრაზე მისვლა. ოჯახმა ამაზე უარი განაცხადა. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს არ იყო გაუგებრობა.

– აბა, რა იყო?

– გარკვეული ჯგუფი ცდილობს, ჩვენ ამ შეხვედრას არ დავესწროთ. მაგათ თუ ჩვენი სტატუსი ხელისშემშლელად მიაჩნიათ, მაშინ თამამად ვიტყვით, რომ მამა გიორგის ოჯახის წევრები ვართ. საერთოდაც, ვინც სიმართლეს ტყუილისგან ვასხვავებთ, ყველა ერთი ოჯახის წევრები ვართ.

ფაქტია, რომ ვიღაცას ძალიან არ უნდა, ჩვენ პატრიარქს შევხვდეთ. ამათ ავიწყდებათ, რომ მე უწმინდესს უკვე შევხვდი.

– როდის შეხვდით პატრიარქს?

– თებერვალში. პატრიარქი გერმანიიდან ახალი ჩამობრძანებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ დროში საკმაოდ შეზღუდულები ვიყავით, უწმინდესმა ძალიან ბევრი კითხვა დაგვისვა. ჩვენ ამ კითხვებზე შეძლებისდაგვარად გავეცით პასუხი.

დარწმუნებული ვარ, პატრიარქს ახლაც ექნებოდა კითხვები, რაზეც ოჯახის წევრები პასუხს ვერ გასცემენ. ამიტომაც იყო აუცილებელი ადვოკატების ამ შეხვედრაზე დასწრება.

ძალიან კარგად ვხვდები, რატომაც არ უნდათ ჩვენი იქ მისვლა. შეუძლიათ, დაგვბლოკონ, მაგრამ სიმართლე მაინც გაირკვევა.

– რატომ არ უნდათ პატრიარქთან თქვენი შეხვედრა, არ უნდათ, რომ უწმინდესმა რაღაცა გაიგოს?

– გარკვეულ ძალებს სიმართლის ეშინიათ. მათ უნდა იცოდნენ, რომ ქვეყანა ჩალით არ არის დახურული. როცა ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრას ბლოკავ, უნდა იცოდე, რომ საპატრიარქოს იმიჯს აყენებ შეურაცხყოფას.

პირადად მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ყველა იმ მეუფეს, რომლებიც სიმართლის მხარეს არიან და არ მინდა, რომ საპატრიარქოს იმიჯი შეილახოს.

– თქვენი პასუხი ნიშნავს თუ არა იმას, რომ არიან მეუფეები, რომლებიც სიმართლის მხარეს არ არიან?

– ალბათ, არიან. პატრიარქთან ჩვენს შეხვედრას ხომ ვიღაც ბლოკავს. ეს საპატრიარქოსთვის არის ცუდი, პირველ რიგში. ყველაზე მეტად მათ უნდა აწყობდეთ სიმართლის გაგება. მილიონი გზა არსებობს ჩვენს დასაბლოკად, მაგრამ სიმართლე მაინც გაირკვევა.

გიორგი აბაშიშვილი: „ირაკლი კობახიძის განცხადებებს იუმორით უნდა შევხედოთ“

პარლამენტის თავმჯდომარისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაპირისპირება გრძელდება

შორენა მარსაგიშვილი

ცოტაც და საკონსტიტუციო ცვლილებების გამო პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტის ადმინისტრაციას ომს გამოუცხადებს. მარგველაშვილის დესტრუქციაში დადანაშაულების შემდეგ ირაკლი კობახიძემ უშიშროების საბჭოზე მიიტანა იერიში.

ამ ორგანოს ის არც აქამდე სწყალობდა.

ცოტა ხნის წინ გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე იმ მოტივით არ წავიდა, პარლამენტში სხდომა უნდა წავიყვანოო. ამ დროს გარს ვიცესპიკერების ლაშქარი ახვევია, რომლებიც სხვა დროს მის ნაცვლად უძღვებიან სხდომებს.

უშიშროების საბჭოზე გულაცრუებული სპიკერი დავით რაქვიაშვილს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე ეკვეთა. კობახიძემ უშიშროების საბჭოს მდივანს სულ თანამდებობისთვის შეუფერებელი ეძახა. სპიკერის მტკიცებით, რაქვიაშვილმა ისიც კი არ იცის, რას ნიშნავს მისი სტატუსი.

მის ამ გაცხარებას ერში, ექსპერტებსა და მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მითქმა-მოთქმის გასაფანტად მან გუშინ, 8 ივნისს, განმარტებები გააკეთა, რასაც კიდევ უფრო დიდი მღელვარება მოჰყვა.

– 7 ივნისს გამართულ კომიტეტის სხდომაზე უშიშროების საბჭოს აპარატის ხელმძღვანელის ანუ საბჭოს მდივნის მხრიდან ისეთი მოსაზრებები გამოითქვა, რომლებიც აბსოლუტურად არათავსებადი იყო საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობასთან.

სამწუხაროდ, უშიშროების საბჭოს მდივანმა არ იცის, რა არის მისი სტატუსი და ფუნქცია. მას ჰგონია, რომ ის წარმოადგენს უშიშროების საბჭოს. ასეთ დონეზეც კი არ იცის, რა ხდება საქართველოში, საქართველოს კონსტიტუციაში. მე წარმოვადგენ უშიშროების საბჭოს, მე ვარ უშიშროების საბჭოს წევრი, ისევე, როგორც პრეზიდენტი, პრემიერი, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე და ასე შემდეგ. მე ვარ უშიშროების საბჭო და როცა უშიშროების საბჭოს სახელით უშიშროების საბჭოს წევრს მდივანი მელაპარაკება, გამოდის, რომ მას საერთოდ არა აქვს წარმოდგენა საქართველოს კონსტიტუციაზე, – განუცხადა ჟურნალისტებს კობახიძემ.

მისმა ამ განცხადებამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

საინფორმაციო წერილი პატრიარქსა და სინოდს

მის უწმიდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II-ს, წმინდა სინოდის წევრებს

შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ!

სოდომიის, მამათმავლობის დანერგვა საქართველოს განათლების სისტემაში უკვე მასშტაბურ ხასიათს იღებს.

ამა წლის 15 მაისს, ხალხის ზურგს უკან, საქართველოს განათლების სამინისტრომ და გაეროს სამმა სააგენტომ მოღალატური ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის მიხედვითაც შვედეთის მთავრობას საქართველოს განათლების სისტემაში გენდერული (ანუ ლგბტ) თემატიკის შემოტანა, დამკვიდრება დაევალა:

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენდერული თანასწორობის ერთობლივ პროგრამასთან, რათა დაეხმაროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიმდინარე რევიზიას და დაეხმაროს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროგრამაში შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით.“

(www.agenda.ge – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინგლისურენოვანი ალმანახი)

როგორც ვიცით, შვედეთი ამ სიბილწისა და გარყვნილების კუთხით მსოფლიოს ავანგარდშია.

1. საბავშვო ბაღები

ა) UNICEF-მა საბავშვო ბაღის პედაგოგებისთვის შეიმუშავა აღმზრდელის სახელმძღვანელო „თამაში“. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით, პედაგოგები **„არ ახდენენ გოგონებისა და ბიჭების ხელოვნურად დაყოფას“ (გვ.18).** მათ ეკრძალებათ, ბავშვებს დაუძახონ გოგოები და ბიჭები, განასხვავონ ისინი სქესობრივი ნიშნით, ვინაიდან, ახალი გენდერული თეორიის მიხედვით, სექსუალური იდენტობა საბოლოოდ მხოლოდ გვიან ასაკში ყალიბდება და პატარა ბავშვები მომავალში შეიძლება სულაც „მესამე სქესისანი“ აღმოჩნდნენ.

ბ) ამ მიზნის განსახორციელებლად ბაღების სისტემაში გაეროს ეგიდით სპეციალურად შემოჰყავთ მათ მიერ დატრეინინგებული 800 ახალი პედაგოგი-ფსიქოლოგი.

2. სკოლის ასაკი

უკვე III-IV კლასებიდან გენდერული თემატიკის დანერგვის მიზნით სასწავლო პროგრამაში შემოაქვთ ახალი საგნები „მე და საზოგადოება“ და „ჩემი საქართველო“.

ა) ის, რომ ამ საგნებში ლგბტ თემატიკა „სხვათა უფლებების“, „ტოლერანტობისა“ და მსგავსი ტერმინების ქვეშ იგულისხმება, ამას საქართველოს მთავრობა ევროპული კომისიისადმი მიწერ წერილში დაუფარავად ადასტურებს:

„ტერმინი „ლგბტ“ არ არის ნახსენები ეროვნულ სასწავლო კურსში, როგორც დამოუკიდებელი ტერმინი, თუმცა, ტოლერანტობისა და სხვათა რწმენისა თუ ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნების თავისუფლების პატივისცემა გათვალისწინებულია სოციალურ მეცნიერებათა ჯგუფის საგნების სასწავლო პროგრამაში...

ამ ეტაპზე სოციალურ მეცნიერებათა სტანდარტი საწყის საფეხურზე უკვე შემუშავებულია, სადაც გენდერული საკითხები გაცილებით ფართოდაა წარმოდგენილი. ახალი სასწავლო პროგრამის მიხედვით (განსხვავებით 2011-2014 წლების სასწავლო პროგრამისგან) სოციალური სწავლება იწყება მესამე კლასიდან: ა) III-IV კლასებში იგეგმება ახალი საგნის შემოღება - „მე და საზოგადოება“. ბ) V-VI კლასებში ისწავლება საგანი „ჩვენი საქართველო“.“

(ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ, გვ. 61-62)

ბ) „მე და საზოგადოება“-ში საქართველოს საგანმანათლებლო პრაქტიკაში პირველად შემოდის სწავლების ახალი ტიპი „როლური თამაშები“. ამ თამაშების მიხედვით, დასავლეთში ფართოდ აპრობირებული მეთოდით, ბავშვებს ავალდებულებენ მოირგონ ჰომოსექსუალების როლები, მათდამი შემწყნარებლობისა და თანაგანცდის გამოსამუშავებლად.

3. ლგბტ ტრეინინგები სკოლებში

განათლების სამინისტრომ ევროსაბჭოს რეკომენდაციით უკვე განახორციელა საქართველოს რიგ სკოლებში ლგბტ თემატიკის შემცველი ტრეინინგების ჩატარება და ასევე სკოლების ფოიეებში ტრანსგენდერული სიმბოლიკის შემცველი კომიქსი-პლაკატების გამოკვრა.

4. სქესობრივი აღზრდა

სკოლებში, ბიოლოგიის და სამოქალაქო განათლების საგნებში იგეგმება სქესობრივი აღზრდისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შემოტანა:

„სექსუალური განათლება სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში გარკვეული დოზით შევა. როგორც ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოს ხელმძღვანელი მარიამ ჩიქობავა EDU.ARIS.GE-სთან ინტერვიუში ამბობს, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის რევიზია მიმდინარეობს, სექსუალური განათლების სკოლაში შეტანის საკითხზე სამინისტრო თანამშრომლობას გაეროს მოსახლეობის ფონდთან გეგმავს.“

(www.edu.aris.ge – ინტერვიუ განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოს ხელმძღვანელთან, მარიამ ჩიქობავასთან)

გასათვალისწინებელია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ, სქესობრივი აზრდის გაკვეთილებში ქალის და მამაკაცის ურთიერთობებთან ერთად, სავალდებულოა ჰომოსექსუალური ურთიერთობების სწავლებაც.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოდ, ის პირები, რომლებიც ბავშვებთან სექსუალურ გაკვეთილებს ატარებენ ან მის ჩატარებას ლობირებენ, ფაქტიურად პედოფილები არიან.

ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე

გურამ ფალავანდიშვილი

„კალაძის გაძლიერება „ქართულ ოცნებას“ დაშლის“

სევდია უგრეხელიძე: „ზაალ უდუმაშვილი კალაძის სერიოზული კონკურენტი იქნება“

ნათია ხურცილავა

დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრი **სევდია უგრეხელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თბილისის მერობის სავარაუდო კანდიდატებზე საუბრობს.

– ქალბატონო სევდია, ნაციონალურ მოძრაობას უწონებთ მერობის კანდიდატად ზაალ უდუმაშვილის დასახელებას? მან უკვე დაადასტურა, რომ უკრაინაში შეხვედრა ჰქონდა მიხეილ სააკაშვილთან და პარტიის სხვა ლიდერებთან.

– ჯერ კიდევ არ უთქვამს ზაალ უდუმაშვილს საბოლოო თანხმობა, მაგრამ პირადად ჩემში პოზიტიურ განწყობას იწვევს ეს ფაქტი სწორედ ჩემი პარტიის პოზიციებიდან გამომდინარე. ვფიქრობ, ადამიანი, რომელიც კარგი მენეჯერია, ყველა რთულ გამოწვევას ზომიერებით პასუხობს და ეს ჩვენ ვნახეთ, ასევე ფლობს ძალიან ბევრ ინფორმაციას, რადგან ის არის ისეთი გადაცემის წამყვანი, ნამდვილად არის პოზიტიური გადაწყვეტილება.

რადგან მას გაუჩნდა ასეთი სურვილი, რომ შეიძლება ამ შეთავაზებას დათანხმდეს, ეს არის საერთო სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც 2012 წლის შემდეგ გვაქვს. ძალიან ბევრი ადამიანი მოდის პარტიაში, პოლიტიკურად სრულიად ნეიტრალურად განწყობილი ადამიანები,

რომლებსაც ადრე არც კი აინტერესებდათ პოლიტიკა, მაგრამ ხედავენ, რომ ქვეყანა უკან მიდის და ეს უკუსვლა შესაჩერებელია.

– მოულოდნელი არ იყო ეს შეთავაზება?

– არა, მე მეჩვენება, რომ სწორედ ასეთ ადამიანებს უჩნდებათ მოქალაქეობრივი ვალდებულება, რომ ამ პროცესებში ჩაერიონ.

– როგორი კანდიდატი იქნება?

– ეს იქნება ახალი შეხედულებების, ახალი ხედვების შემოტანა ქართულ პოლიტიკაში. თავისი პროგრამით ზაალ უდუმაშვილი ნამდვილად მიიპყრობს ყურადღებას. ის არ იქნება რომელიმე პარტიის მერი. ის იქნება ყველას მერი. ამას ვამბობ მისი პიროვნებიდან გამომდინარე. ეს ღიად ჩანს.

– თქვენ ამბობდით, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატი კალაძე არ იქნებოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი ამას არ დაუშვებდა.

– რაც შეეხება კალაძის გამოყვანას ფალავნად მეორე მხარეს, ამბობენ, რომ კალაძეს თავად ძალიან უნდა მერობა, რაც გასაგებია. მას უნდა ცუდი იმიჯის შეცვლა, რომელიც, როგორც ენერგეტიკის მინისტრს, აქვს თავისი „გაზპრომით“. ახლა უნდა ახალი პოზიციიდან ამ იმიჯის შეცვლა და რაღაცის გაკეთება.

კალაძე შემოყვანილია, როგორც ბოლო კოზირი, რომ თბილისის არჩევნების კორცხელიზაცია მოახდინონ. თუ კალაძე ნამდვილად იქნება „ქართული ოცნების“ კანდიდატი, ამბობენ, რომ უალტერნატივოა, მაგრამ მე ძალიან მიკვირს, ბიძინა ივანიშვილს რაში სჭირდება ასეთი კანდიდატი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ კალაძე „ქართული ოცნებისთვის“ სახიფათო კანდიდატია. მისი გაძლიერება გამოიწვევს „ქართული ოცნების“ დაშლას. მას აქვს თავისი ფინანსები, გარკვეული რეპუტაცია, ძალაუფლება და შიგნით ჰყავს თავისი გუნდიც. საბოლოოდ, ეს გამოიწვევს პარტიის სხვაგვარად და ბევრად უფრო ადრე დაშლას. ამიტომ, გულწრფელად მიკვირს, ივანიშვილი ამაზე როგორ თანხმდება. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ უნდათ, ინტელექტუალური ნიღბის მქონე კობახიძე დააბალანსონ რაღაც ძალით, რომ ერთი სრულფასოვანი ძალა მიიღონ. როგორც ჩანს, ეს არის მიზანი.

კობახიძე სრულიად დისკრედიტებულია თავისი საკონსტიტუციო ცვლილებებით და ვითომ თავშეკავებული, მაგრამ აფექტური გამოვლინებებით. ამ ფონზე კალაძე გამოირჩევა მყარი ფსიქიკით, ზრდის ტენდენციით, დაწყებული ქართული საუბრითა და პოლიტიკური ვორდინგით დასრულებული. კალაძემ შეწყვიტა ნაციონალური მოძრაობის ლანძღვა და 9 წლის ხსენება, რადგან ესმის, რომ იქვე იქნება ნახსენები 5 წელიც. კალაძემ ყველაზე ადრე გააცნობიერა, რომ ეს არ არის მომგებიანი და აღარავის ეს არ აინტერესებს. ეტყობა, კარგი უცხოელი მრჩევლები ჰყავს. ახლა ვნახოთ, როგორი კამპანია ექნება, რაზე გააკეთებს აქცენტებს.

– რა იქნება უდუმაშვილის უპირატესობა?

– მისი უპირატესობა არის სუფთა წარსული, სიახლე, ინტელექტუალობა და ძალიან დიდი პიროვნული ქარიზმა. ის, რომ ზაალ უდუმაშვილი არ არის რადიკალი, ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ ვამბობ, რომ ის მართლაც ყველას მერი იქნება.

– კალაძის საპირწონე რამდენად არის?

– არის, ძალიან ძლიერი კანდიდატი იქნება. ეს უდავოა.

– ქალბატონო სევდია, თქვენ იყავით გარდამავალ პერიოდში თბილისის მერი. თქვენ ხომ იცით, რას ნიშნავს იყო ოპოზიციონერი მერი. არ გაუჭირდება ოპოზიციის კანდიდატს მერობა?

– მაშინ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება მილევად რეჟიმში იყო. ჩემი მიზანი იყო, რაც შეიძლებოდა ბოლომდე შემენარჩუნებინა და არ ჩამებარებინა დედაქალაქი მტრულად განწყობილი ძალებისთვის, თბილისისადმი მტრულად განწყობილს ვგულისხმობ. მიწევდა საშინელი ზეწოლისა და გამოხდომების ფონზე გამუდმებით პროკურატურით შეშინებისა და საბოტაჟის ძახილით მუშაობა, მაგრამ მე შევასრულე დაკისრებული ამოცანა.

ვერც მომისყიდეს და ვერც პროკურატურამ დამაკლო ვერაფერი. ქალაქი უკვე იდგა რელსებზე და მუშაობდა. მთავარი იყო, ხელი არ შეგეშალა. ახლა სრულიად განსხვავებული სიტუაციაა. ახალ მერს ძალიან რთული ამოცანა დახვდება, წარმოიდგინეთ, ორმოს ვერ ავსებენ. ეს ვითარებაა დღეს. ბევრი რამ თავიდან არის დასაწყები და გასაკეთებელი.

– მთავარი კონკურენტები კალაძე და უდუმაშვილი იქნებიან?

– რა თქმა უნდა.

– სხვა კანდიდატებს უგულებელყოფთ?

– სხვა კანდიდატებზე ვერაფერს ვიტყვი.

– ვისი იდეა იყო უდუმაშვილისთვის კანდიდატობის შეთავაზება?

– ნამდვილად არ ვარ ჩახედული ასე ღრმად, არასდროს ვიყავი, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ჰქონდა პოლიტიკაში მოსვლის ინტერესი და ალბათ ხედვებიც ჰქონდა. სხვაგვარად არავინ დაეტაკებოდა და არ ეტყოდა, გინდა თუ არა, იყავიო. გარკვეული იდეები ექნებოდა და ალბათ ამის შემდეგ გაჩნდა ეს შეთავაზებაც. როგორც ჩანს, ორმხრივად იყო ბუნებრივი ინტერესი.

გიორგი აბაშიშვილი: „ირაკლი კობახიძის განცხადებებს იუმორით უნდა შევხედოთ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

როსს ჯერ ღიმილი მოჰგვარა, ნათქვამის კარგად ჩაანალიზების შემდეგ კი ცოტა შეეშინდა.

– საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას ან ძალიან იუმორით უნდა შევხედოთ, ან თუ ცოტათი მაინც სერიოზულად შევხედავთ, ეს ნიშნავს იმას, რომ უშიშროების საბჭოს მდივანს, რომელიც უშიშროების საბჭოს ისეთივე მუდმივი წევრია, როგორიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თურმე უფლება არ აქვს, საკუთარი აზრი გამოთქვას უშიშროებისა და უსაფრთხოების საკითხებზე.

ეს უკვე პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, ჩვენ გვეკრძალება, ნებისმიერ საკითხზე გამოვთქვათ საკუთარი აზრი, მათ შორის გამოვთქვათ აზრი ჩვენს კომპეტენციაში შემავალ მნიშვნელოვან საკითხებზე, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

* * *

პრეზიდენტის ადმინისტრაციის გარდა, პარლამენტის თავმჯდომარეს ვენეციის კომისიაც შემოსწყრა.

კომისია უკმაყოფილებას გადაუნაწილებელი მანდატების გადანაწილების წესზე გამოთქვამს. ირაკლი კობახიძე ცვლილებების განხილვისას გამუდმებით იმაზე ღაღადებდა, რომ გადაუნაწილებელი მანდატები გამარჯვებულ პარტიას უნდა ერგოს სრულად. მისივე თქმით, მანდატების ასეთი გადანაწილება ქვეყნის სტაბილურობას სჭირდება.

ვენეციის კომისიის წინასწარ დასკვნას, სადაც ეს წესი დაწუნებულია, „ტაბულა“ ავრცელებს.

ვენეციის კომისია სთავაზობს საქართველოს ხელისუფლებას, იფიქროს მანდატების განაწილების სხვა შესაძლებლობებზე:

– საქართველო ცენტრალიზებული ქვეყანაა, რომელსაც ამ ეტაპზე აქვს ერთპალატიანი პარლამენტი. მას არ აქვს სასამართლო დამოუკიდებლობის ხანგრძლივი ტრადიცია. ასეთ ვითარებაში არსებობს საპარლამენტო უმრავლესობის დომინირების რისკი. მომავალში მას უნდა ჰქონდეს შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმი, მაგალითად, მეორე პალატის შექმნა, რათა გაძლიერდეს პარლამენტში ოპოზიციის როლი.

ეჭვგარეშეა, რომ ამჟამინდელი პროპორციულ/მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მხოლოდ პროპორციულით ჩანაცვლება პოზიტიური ნაბიჯია პარლამენტში პლურალიზმის გასაზრდელად. თუმცა, ეს პოზიტიური ნაბიჯი იზღუდება 3 მექანიზმით: 5%-იანი ბარიერი შენარჩუნებულია; გაუნაწილებელი მანდატები გამარჯვებულ პარტიას ერგება და საარჩევნო ბლოკები უქმდება.

მაშინ, როდესაც 5%-იანი ბარიერი სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტს და თავისთავად არ იმსახურებს კრიტიკას, ერთობლიობაში, ეს სამი მექანიზმი ზღუდავს პროპორციული სისტემის ეფექტს უფრო პატარა პარტიებისა და პლურალიზმის საზიანოდ და არ შეესაბამება სამართლიანი წარმომადგენლობისა და საარჩევნო თანასწორობის პრინციპებს, უფრო მეტად, ვიდრე ამის გამართლება შეიძლება სტაბილურობის უზრუნველყოფის საჭიროებით, – ნათქვამია ვენეციის კომისიის წინასწარ დასკვნაში.

ვენეციის კომისია საქართველოს ურჩევს, გაუნაწილებელი მანდატების განაწილების სხვა შესაძლებლობები გამოიყენოს, როგორებიცაა: პროპორციული განაწილება ყველა იმ პარტიას შორის, რომლებიც გადალახავენ 5%-იან ბარიერს, ან დაწესდეს გაფლანგული ხმების რაოდენობის ზედა ზღვარი, რომელიც გამარჯვებულ პარტიას შეხვდება; და/ან დაიწიოს ბარიერმა 2 ან 3%-მდე, ამგვარად დარჩენილ მანდატებზეც გავრცელდეს პროპორციული სისტემა.

გიორგი კვირიკაშვილი: „მიწის გასხვისება არ იქნება შესაძლებელი იმ პირებზე, რომლებსაც არ აქვთ საქართველოს მოქალაქეობა“

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება – საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, მიმართოს საკონსტიტუციო კომისიას, რათა კონსტიტუციაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება არ იქნება შესაძლებელი იმ პირებზე, რომლებსაც არ აქვთ საქართველოს მოქალაქეობა:

– მმართველ გუნდში გაიმართა კონსულტაციები, რომელშიც მონაწილეობდა მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა. მივიღეთ გადაწყვეტილება, საკონსტიტუციო კომისიას მივმართოთ ინიციატივით, რათა კონსტიტუციაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება არ იქნება შესაძლებელი იმ პირებზე, რომლებსაც არ აქვთ საქართველოს მოქალაქეობა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსზე, საკუთრების უფლება შეიძლება ჰქონდეს საქართველოს მოქალაქეს, საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანებას, სახელმწიფოს და თვითმმართველ ერთეულს. ვფიქრობთ, რომ ეს ჩანაწერი პირდაპირ ეხმიანება იმ მოთხოვნებს, რომელიც ჩვენს მოქალაქეთა უდიდეს უმრავლესობას აქვს და ეს იქნება გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებლად უნდა მიიღოს მმართველმა გუნდმა, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ჯეიმს კომი: „რუსეთი აშშ-ის არჩევნებში ერეოდა“

აშშ-ის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ყოფილ ხელმძღვანელ ჯეიმს კომს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ რუსეთი ცდილობდა ჩარეულიყო 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში. შესაბამის საკითხზე სენატორების შეკითხვას სენატის სპეციალური კომიტეტის მოსმენაზე კომმა ასე უპასუხა – „ეჭვგარეშეა“. მისივე თქმით, პირველი ინფორმაცია რუსეთის მიერ კიბერშეტევაზე მან ჯერ კიდევ 2015 წლის ზაფხულში მიიღო.

მსოფლიო ომი ყატარიდან დაიწყება?

მარიამ მჭედლიშვილი

მსოფლიო ომის შესაძლო გაჩაღებაზე სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები დიდი ხანია, მსჯელობენ. აქამდე მასშტაბური სამხედრო დაპირისპირების მხარეებად სახელდებოდნენ აშშ და რუსეთი, მიზეზებად – ნატო-რუსეთის, ამერიკა-რუსეთის მუდმივი კონფლიქტი და სირიაში მიმდინარე მოვლენები, ასევე აგრესია ჩრდილოეთი კორეის მხრიდან.

დღეს ყურადღების ცენტრშია ყატარის კრიზისი. ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, თუ ვაშინგტონი დროულად არ ჩაერია ახლო აღმოსავლეთში დაწყებულ საშიშ პროცესებში, მორიგი მსოფლიო ომი ყატარიდან დაიწყება.

ამ ქვეყნის იზოლაციაში მოქცევით შეიძლება დაიწყოს დიდი ომის პროვოცირება. ამ კონფლიქტის დროს, პირველ რიგში, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან საუდის არაბეთი მოკავშირეებთან ერთად და ირანი. ამას მოჰყვება ომში სხვა სახელმწიფოების ჩაბმა.

როგორც ცნობილია, ყატართან დიპლომატიური და სხვა სახის კონტაქტები გაწყვიტა ათზე მეტმა მეზობელმა სახელმწიფომ. ამ არაბულ ქვეყანას ტერორისტებთან კავშირს ედავებიან. იზოლაციაში აღმოჩენილ ყატარს არ ტოვებს ირანი. თეირანი მას თავის სამ ნავსადგურს უთმობს სურსათის გადასაზიდად.

არაბული სამყარო აღაშფოთა ყატარის საინფორმაციო სააგენტოს სახელით გავრცელებულმა მხარდაჭერამ ტერორისტული ორგანიზაცია „ძმები მუსლიმანებისა“ და მისი მიმართულება „ჰამასის“ მიმართ.

თავად ყატარში ამ ინფორმაციას ყალბს უწოდებენ.

ვრცელდება ასევე ცნობა იმაზე, რომ ყატარმა დიდი თანხა გადაუხადა ტერორისტებს ერაყში გატაცებული მეფის ოჯახის წევრის გამოსასყიდად.

ირანის მხარდაჭერამ ყატარისადმი არაბულ სახელმწიფოებს განუმტკიცა ეჭვი, რომ ყატარი ყოველთვის ირანის მოკავშირე იყო და ღალატობდა არაბული კოალიციის ინტერესებს.

მეზობელმა სახელმწიფოებმა ყატარს წამოუყენეს მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ყატარს მოეხსნება სანქციები.

ეს მოთხოვნებია: ტელეარხ „ალ ჯაზირას“ მაუწყებლობის მოცულობის შემცირება, ახლო აღმოსავლეთში ექსტრემისტული ჯგუფების დაფინანსების შეწყვეტა და უარის თქმა კავშირზე „ძმები მუსლიმანების“ მეთაურებთან.

ირანი სირიაში მხარს უჭერს ბაშარ ასადის რეჟიმს და ებრძვის ისლამურ სახელმწიფოსა და ალ-ქაიდას. თუმცა, ტერორისტებთან გარიგებაში ირანსაც ადანაშაულებენ. ამ მხრივ ირანს ხშირად აკრიტიკებს აშშ-ის პრეზიდენტი.

თავისი პოზიცია დონალდ ტრამპს არც თეირანში მომხდარი ტერორისტული თავდასხმების შემდეგ შეუცვლია. მან ირანელ ხალხს მიუსამძიმრა, მაგრამ დასძინა, რომ ირანი ტერორიზმის სპონსორია და შეიძლება ამის მსხვერპლი გახდეს. ამას მოჰყვა უკმაყოფილება ოფიციალური თეირანიდან.

ბოლო დროს სხვადასხვა ქმედების გამო კრიტიკის ობიექტი ხდება რეგიონის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო – თურქეთი. თურქეთმა დაბლოკა ნატოს პარტნიორის, ავსტრიის, მონაწილეობა სამონიტორინგო ოპერაციაში ხმელთაშუა ზღვაში.

ავსტრია ამგვარ ოპერაციებში ნატოს პარტნიორი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობს. თურქეთი ნატოს წევრია და გადაწყვეტილებებისას ხმის უფლება აქვს.

ესაა თურქეთის რეაქცია ავსტრიის ადრინდელ ნაბიჯებზე – ავსტრიამ არაერთხელ მიმართა ბრიუსელს, შეწყვიტოს მოლაპარაკებები ანკარასთან ევროკავშირში შესაძლო გაწევრიანებაზე. ვენა მიიჩნევს, რომ თურქეთი არ იცავს ევროპულ ფასეულობებს და არღვევს ადამიანის უფლებებს.

ახლო აღმოსავლეთში სიტუაცია უკიდურესად იძაბება. კარნეგის ცენტრის ანალიტიკოსების შეფასებით, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების, ასევე მსოფლიოში მომხდარი სხვა მოვლენების გამო უფრო რთული ხდება კავკასიის რეგიონი.

ეკა ბესელია: „ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნას ველოდებით“

– ნებისმიერი წინასწარი მოსაზრება არის მხოლოდ წინასწარი მოსაზრება – ჩვენ ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნას ველოდებით.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ეკა ბესელიამ განუცხადა.

მისი თქმით, ძალაში რჩება პოზიცია ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გაზიარების შესახებ და მმართველი გუნდი საბოლოოდ ფორმულირებულ დასკვნას დაელოდება.

– პირველ რიგში, ნათლად უნდა ითქვას, რომ ვიდრე ვენეციის კომისია სხდომაზე საბოლოოდ არ შეჯერდება პოზიციებისა და მოსაზრებების ირგვლივ და მისი ყველა პრინციპი არ დამტკიცდება, ის დასკვნის სახეს ვერ მიიღებს და მას არანაირი ოფიციალური დატვირთვა არ ექნება. ნებისმიერი წინასწარი მოსაზრება, ეს არის მხოლოდ წინასწარი მოსაზრება – ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა 16 ივნისს გვეცოდინება. გვეცოდინება, რა რეკომენდაციები დარჩება კომისიას, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

ფიქრია ჩიხრაძე: „ვენეციის კომისიის დასკვნაში ადეკვატურადაა ასახული ის თემები, რომლებიც საზოგადოებას აღელვებს“

საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური მდივნის ფიქრია ჩიხრაძის შეფასებით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში სწორედ ის სულისკვეთებაა ასახული, რომელიც ბალანსისა და გაწონასწორების მექანიზმების შექმნას უზრუნველყოფს და რომელიც ამ ხნის განმავლობაში ჰქონდა ქართულ საზოგადოებას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

– ცხადია, გავეცანით ვენეციის კომისიის პირველად დოკუმენტს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ რეკომენდაციებში სწორედ ის სულისკვეთებაა ასახული, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გვქონდა ქართულ საზოგადოებას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერი მიმართულებით, თუკი ასეთი ცვლილებები ხორციელდება, ის აუცილებლად უნდა უზრუნველყოფდეს წარმომადგენლობითობას, აუცილებლად უნდა უზრუნველყოფდეს ბალანსისა და გაწონასწორების მექანიზმების შექმნას.

ამ რეკომენდაციებში ადეკვატურადაა ასახული ის თემები, რომლებიც ასე აღელვებდა ქართველ საზოგადოებას ამ თვეების განმავლობაში, რაც საკონსტიტუციო კომისია მუშაობს, რაც ცვლილებებზეა საუბარი და, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების დროს, – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

„ყველა ღარიბი კიდევ უფრო მეტად გაღარიბდება“

ეკონომიკის დოქტორი აკაკი ცომაია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე საკანონმდებლო ცვლილების შესახებ წერს და მათ მოსალოდნელ შედეგებზე საუბრობს.

„ბიზნესპრესნიუსი“ აკაკი ცომაიას პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

1. მიწის უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვა
2. შრომის ინსპექციის შემოღება
3. კონსტიტუციის 94-ე მუხლის გადახედვა
4. ჯანდაცვის სფეროში ვერტიკალური ინტეგრაციის აკრძალვა
5. სავალდებულო ავტოდაზღვევა

შედეგი: 2 წლის შემდეგ

1. დამატებით ნაკლები სამუშაო ადგილი შეიქმნება

2. არსებული ბიზნესები შევიწროვდებიან, მძიმე ტვირთი განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესს დააწვება, რაც შეამცირებს სამუშაო ადგილებს.

3. შემცირებული ეკონომიკური აქტივობა შეამცირებს მოხმარებას, რაც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვება მცირე და საშუალო ბიზნესს და გააღარიბებს ადამიანებს.

4. თუ გადასახადები გაიზარდა, ფასების დონეც გაიზრდება, როგორც ეს უკვე მოხდა მასე შემდეგ, როდესაც აქციზის გადასახადი გაზარდეს

5. სადაზღვევოები ანი უფრო ცუდ პაკეტს შემოგთავაზებენ, რადგან ავტოდაზღვევით გარანტირებული შემოსავალი ექნებათ

6. ვერტიკალური ინტეგრაციის აკრძალვით ფასეულობათა მიწოდების ჯაჭვში ხარჯები მოიმატებს. დიდი ალბათობით, წამლები კიდევ უფრო მეტად გაძვირდება

საერთო დასკვნა: ყველა ღარიბი კიდევ უფრო მეტად გაღარიბდება.

ამოაგდეთ ეს პოსტი 2 წლის მერე და მეკამათეთ რა შედეგი ვერ გავთვალე.

დაიწყვეთ გულზე ხელები და ადევნეთ თვალყური, როგორ იზრდიან ამ ფონზე პრემიებს და დანამატებს.

გილოცავთ ყველაზე უგუნური, უტვინო და უპასუხისმგებლო ხელისუფლების არჩევას, რომელიც ოდესმე გვყოლია!

1. შრომის ინსპექციის მიუხედავად, უბედური შემთხვევების რიცხვი საწარმოო ობიექტზე მაინც არ შემცირდება

2. ვერტიკალური ინტეგრაციის აკრძალვის მიუხედავად, ექიმების ფარმაცევტულ კომპანიებთან ჩამოყალიბებული ურთიერთობა მაინც არ მოიშლება

3. 94-ე მუხლის გაუქმებით, ღარიბის კეთილდღეობა არ გაიზრდება

4. სავალდებულო ავტოდაზღვევა პირდაპირ თქვენს ჯიბეს დაარტყამს და ავტოინციდენტების რაოდენობა კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

და ასე შემდეგ, – წერს აკაკი ცომაია.

ნიკა რურუა: „კონსტიტუცია ივანიშვილის ხე არ არის და როგორც მოუნდება, ისე ვერ გადარგავს“

ნაციონალური მოძრაობის წევრი ნიკა რურუა ვენეციის კომისიის წინასწარ დასკვნას „ნიუპოსტთან“ ეხმაურება. ნიკა რურუას თქმით, ადგილობრივ დონეზე ცხადი იყო, რომ მმართველი გუნდის მიერ მიღებულ საკონსტიტუციო პროექტს საზოგადოების მთელი სპექტრი ეწინააღმდეგებოდა.

ვენეციის კომისიის წინასწარი დასკვნის შედეგად კი მმართველმა გუნდმა იგივე სიგნალი მიიღო ევროპისგანაც:

– გამოჩნდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, რომ ეს პროექტი არ ვარგა არაფრად. ქვეყნის შიგნით მთელი სპექტრი, იქნება ეს არასამთავრობო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება, უშიშროებისა და უსაფრთხოების თემი, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს, პოლიტიკური ოპოზიცია – ყველა წინააღმდეგია ახალი კონსტიტუციის. იქით არის მხოლოდ ოლიგარქი და მისი ხელქვეითები. ახლა უკვე იგივე სიგნალი მათ მიიღეს ევროპიდანაც, ევროპის ერთ-ერთი წამყვანი სამართლებრივი ექსპერტების ჯგუფიდან ვენეციის კომისიის სახით, – განაცხადა ნიკა რურუამ.

ნიკა რურუას განცხადებით, ვენეციის კომისიის წინასწარ დასკვნაში ირიბად მოწონებულია პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა:

– ვენეციის კომისიის დასკვნაში ნათქვამია, რომ პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს დამბალანსებლის ფუნქცია, რაც დღევანდელი მდგომარეობით აქვს. ეს ნიშნავს, რომ პირდაპირი არჩევნების იდეა არის ირიბად მოწონებული, – აღნიშნა რურუამ.

ნიკა რურუას თქმით, ვენეციის კომისიის დასკვნის გაუთვალისწინებლობა ხელისუფლებას ძვირად დაუჯდება:

– თუ არ გაითვალისწინებენ, თავიანთ თავს დააბრალონ, იმიტომ რომ საქართველოს კონსტიტუცია ბიძინა ივანიშვილის ხე არ არის და ის კონსტიტუციას როგორც მოუნდება, ისე ვერ გადარგავს, – განაცხადა რურუამ.

პრეზიდენტის არჩევის წესი – რა შენიშვნები აქვს ვენეციის კომისიას

საქართველოს კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის წინასწარი დასკვნის ერთ-ერთი პუნქტი პრეზიდენტის არჩევის წესსაც ეხება. კომისიის შეფასებით, პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესის შემოღება, როგორც ასეთი, თანხვედრაშია ევროპულ სტანდარტებთან და მისასალმებელია ის, რომ წესის ცვლილება მომავალი არჩევნების ნაცვლად 2023 წლიდან ამოქმედდება. თუმცა კომისია ხაზს უსვამს იმას, რომ არაპირდაპირი წესით არჩევაზე გადასვლამ არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ პრეზიდენტად მუდმივად და ექსკლუზიურად საპარლამენტო უმრავლესობის მიერ წარდგენილ კანდიდატს ირჩევდნენ.

– საქართველოს კონსტიტუციური მოწყობის მიხედვით პრეზიდენტი აბალანსებს ძლიერ მთავრობას დიდი საპარლამენტო უმრავლესობით. ამის შედეგად, არაპირდაპირი წესით არჩევაზე გადასვლამ არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ პრეზიდენტად მუდმივად და ექსკლუზიურად ირჩევდნენ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ წარდგენილ კანდიდატს. ამდენად, პარლამენტში (აგრეთვე ხმოსანთა საბჭოში) პლურალიზმის უკეთ უზრუნველსაყოფად საჭიროა შეკავებისა და წონასწორობის ბალანსის დაცვა, – აღნიშნულია დასკვნაში.

ვენეციის კომისია პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევის კონტექსტში კვლავ იმეორებს გაუნაწილებელი მანდატების პროპორციულად განაწილების და/ან ბარიერის დაწევის შესახებ რეკომენდაციას და აღნიშნავს, რომ პრეზიდენტის პირველ რაუნდში ასარჩევად საჭირო უნდა იყოს კვალიფიციური უმრავლესობა.

„კონსტიტუციაში ქორწინებაზე ჩანაწერი ერთნაირსქესიანთა პარტნიორობას არ უნდა გამორიცხავდეს“

საქართველოს კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის წინასწარ დასკვნაში საუბარია ქორწინებაზე საკონსტიტუციო ჩანაწერთან დაკავშირებითაც. ვენეციის კომისიის მოსაზრებით, თუ აღნიშნული განსაზღვრება ერთნაირსქესიანთა ქორწინების გამორიცხვისთვის კეთდება, მაშინ უნდა იყოს განმარტება, რომ ეს არ ეხება ერთნაირსქესიანთა ურთიერთობების (პარტნიორობა) აკრძალვას.

– საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით (ან მისი ინტერპრეტაციით), ერთნაირსქესიანთა ქორწინების შემოღება შეესაბამება კონსტიტუციას. თუ შემოთავაზებული ჩანაწერი პირდაპირ გამორიცხავს ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, უნდა განიმარტოს, რომ ეს არ ეხება ერთნაირსქესიანთა ურთიერთობებს.

საქართველო, როგორც ევროპის საბჭოს სხვა ქვეყნები, ვალდებულია შესაბამისობაში მოდიოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან და მაშასადამე, უნდა უზრუნველყოს ერთისა და იმავე სქესის წყვილების ურთიერთობების სამართლებრივი აღიარება (მაგალითად, როგორც, სამოქალაქო კავშირები ან ერთნაირსქესიანი ადამიანების რეგისტრირებული ურთიერთობები), – წერია დასკვნაში.

რევაზ არველაძე: „გაზის ტარიფი რეგიონებში უფრო გაიზრდება, ვიდრე თბილისში“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი **რევაზ არველაძე,** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გაზის, ელექტროენერგიის ტარიფებზე, ჰესებისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობაზე საუბრობს.

– ბატონო რევაზ, ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ გაზის ტარიფი მოიმატებს, არ არის გამორიცხული, რომ გაძვირდეს ელექტროენერგიაც. რით ხსნით ახლა ტარიფის ზრდას?

– ყოველივე ეს ობიექტური აუცილებლობით არის განპირობებული. საკმაოდ დიდი ხანია, ამაზე უკვე დაწყებულია საუბარი. გაზის ტარიფი 2005 წელს დამტკიცდა და იმის შემდეგ არ გადახედილა.

– ახლა რატომ გახდა აუცილებელი, რომ გადახედილიყო?

– საკმაოდ დიდი ინვესტიციები განხორციელდა ამ სექტორში. ძალიან ბევრი სოფლის გაზიფიკაცია მოხდა. ეს ყველაფერი ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომელიც აუცილებლად ტარიფს აწვება და ტარიფზე ხდება ამის ასახვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტორი ბიზნესის წარმოების აზრს კარგავს. მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ გაზის კომპანია ამას ტარიფზე არ ასახავდა.

– ახლა რა მოხდა?

– ლარის ფაქტორმა იქონია გავლენა. ამ ხარჯებს დაემატა ლარის კურსის მკვეთრი ვარდნა. გაზს მთლიანად უცხოეთიდან ვყიდულობთ, შესაბამისად, ავტომატურად მოხდა ტარიფის გაზრდაც. გამორიცხულია, კომპანიამ არ გაითვალისწინოს ეროვნული ვალუტის კურსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ ასეთი კომპანია უნდა გაკოტრდეს.

ამ ორ კომპონენტთან არის ძირითადად ტარიფის გაზრდა მიბმული. არის სხვა კომპონენტებიც, მაგალითად, გაზის დანაკარგები და ა.შ. ძირითადად ინვესტიციები უფრო რეგიონებში განხორციელდა, ვიდრე თბილისში, ამდენად, ასე მკვეთრად არ იმოქმედებს საინვესტიციო მდგენელი თბილისზე.

– თბილისს განსხვავებული ტარიფი ექნება ანუ უფრო დაბალი?

– დიახ, აქ უფრო ლარის კურსი იქნება განმსაზღვრელი. თუმცა, მე ზუსტი ტარიფი არ ვიცი, სად როგორი იქნება. ისე, რაც შეეხება რაიონებს, აქ ერთიც და მეორე მდგენელიც იმოქმედებს. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, სად რამდენით გაიზრდება ტარიფი, ეს უკვე მარეგულირებელ კომისიაზე იქნება დამოკიდებული. როგორც ვიცი, პრაქტიკულად უკვე დასრულებულია მუშაობა.

– თუ მუშაობა დასრულებულია, როგორი ტარიფი დადგინდა?

– ჯერ ციფრები ჩემთვის ცნობილი არ არის, მაგრამ შეიძლება მარეგულირებელმა კომისიამ მიიღოს გადაწყვეტილება, რომ საერთო ტარიფი შემოიღოს ქვეყნის მასშტაბით, რასაც დავეთანხმები. თუ ასეთი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, მაშინ რეგიონებში ტარიფის უფრო მეტ გაზრდას უნდა ველოდოთ.

– ექსპერტები დენის ტარიფის გაზრდასაც ვარაუდობენ.

– ელექტროენერგიის ტარიფი შარშან უკვე შეიცვალა. მართალია, ამ წლის ბოლომდე არის „თელასშიც“ და „ენერგო-პროშიც“ ტარიფი დადგენილი, მაგრამ ამ ეტაპზე ცვლილებას მაინც არ უნდა ველოდოთ. ტარიფი რისგან შედგება, ეს ცნობილია, ძირითადი სამი კომპონენტია, მაგრამ, როდესაც ახალი ელექტროსადგური შენდება, მისი ტარიფი აუცილებლად უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო შეწონილი ტარიფი.

ძირითადი ელექტროსადგურები საბჭოთა კავშირისგან დაგვრჩა აშენებული, რომელთა საინვესტიციო მდგენელი ფაქტობრივად ნულის ტოლი იყო. როდესაც ახალი სადგური შენდება, მისი მთლიანი ინვესტიცია ტარიფში გადადის.

– ბატონო რევაზ, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ ტარიფები კი არ გაიზრდებოდა, პირიქით, შემცირდებოდა. ეს დაპირება კარგად ახსოვს ხალხს.

– თქვენ გახსოვთ ჩემი მსგავსი დაპირება წინასაარჩევნოდ ამ საკითხზე? მაშინ ბევრჯერ გავაკეთე განცხადება, რომ ივანიშვილს არაკვალიფიციური მრჩევლები ჰყავდა ამ საკითხში. ეს იყო ისეთი ხალხის მიერ მომზადებული მასალა, რომლებსაც რეალური ინფორმაცია არ ჰქონდათ. როგორ შეიძლებოდა იმ ცვლილებების გატარება, რა დაპირებაც გაკეთდა.

– მაშინ, რატომ მოგვცეს ეს დაპირება?

– ვერ გეტყვით, მე მსგავსი დაპირება არ გამიცია და ვერც იპოვით ამას. მე, პირიქით, ვამბობდი, რომ ეს შეუძლებელი იყო.

– ერთ-ერთი ბოლო ცხელი თემა ხანდოს ხეობაში მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა იყო, რომელიც საფლავზე უნდა გასულიყო. არაერთი დასკვნაა დადებული, ნაწილი ამბობს, რომ სახიფათოა ხალხის ჯანმრთელობისთვის, ნაწილი – პირიქით. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხზე?

– ჩვენთვის ყოველი კილოვატის მშენებლობა ძალიან მნიშვნელოვანია. ამ პოზიციაზე ვიყავი ყოველთვის და ამას ღიად ვამბობდი. ჩვენ აუცილებლად უნდა ავაშენოთ ისეთი ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა მშენებლობაც ტექნიკურად შესაძლებელია, რომლებიც ეკონომიკურად ეფექტიანი იქნება და რომელთა მშენებლობაც ეკოლოგიურად დასაშვები იქნება.

მე ყოველთვის ხალხის მხარეს ვარ, მიუხედავად იმისა, მართალს ამბობენ თუ არა. ამ შემთხვევაში მართალს არ ამბობდნენ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ნორმები არსებობს. თუ ასე ვიტყვით, მაშინ ენგურჰესიდან თბილისში 500-კილოვოლტიანი ხაზი მოდის, რომელიც მთლიანად სოფლებზე გადმოდის, მაშინ არ უნდა აგვაშენებინა. ცხადია, რომ ელექტრული ველი, მაგნიტური ველი, ყველაფერი ცოცხალ ორგანიზმზე მოქმედებს. ამიტომ არსებობს ნორმები.

– მოსახლეობა ალტერნატივაზე მიუთითებდა.

– დიახ, თუ ალტერნატივა არსებობს, ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. მეწყრული ზონაა და სუსტ ქანებზე ანძას ვერ დასვამ, მაგრამ გეოლოგებმა უნდა ეძებონ მყარი კლდეები. შეიძლება მართლაც არის ალტერნატივა, რომ უფრო მეტად დააცილონ მოსახლეობას, დასახლებულ პუნქტს ანძა.

ეკონომიკის სამინისტროს ახალი შენობის ბედი ისევ გაურკვეველია

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილის განცხადებით, ეკონომიკის სამინისტროს თავისი შენობა როდიდან ექნება, უცნობია, თუმცა უახლოეს პერიოდში შესაბამისი პროექტის წარდგენა მოხდება. ამის შესახებ ჩერქეზიშვილმა ჟურნალისტებთან ისაუბრა.

– მიმდინარეობს მუშაობა ამ პროექტზე და ძალიან მალე გექნებათ შესაძლებლობა, რომ გაეცნოთ, – აღნიშნა ჩერქეზიშვილმა.

მისივე განმარტებით, მშენებლობა მარტივად ვერ დაიწყება. ჩერქეზიშვილი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე სამუშაოები მიმდინარეობს, რომელშიც სამინისტროს შესაბამისი ჯგუფები აქტიურად არიან ჩართულნი.

– მშენებლობა ასე ვერ დაიწყება. მშენებლობას აქვს ძალიან ბევრი წინა პროცესი. ყველაზე მარტივი არის მშენებლობა, როცა კონსტრუქციული ნახაზია დადებული და მანამდე არის ბევრი სამუშაო. მიმდინარეობს მუშაობა, მასში ჩართული ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი ჯგუფები, რომლებიც პროექტებს ახორციელებენ, – განაცხადა ჩერქეზიშვილმა.

ამასთან, კითხვაზე, სამინისტროს შენობა სამთავრობო ქალაქში ხომ არ განთავსდება, ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ პასუხის გაცემა არ ისურვა.

უკვე ერთი წელია ეკონომიკის სამინისტროს მთავარი ოფისი ჭოველიძის №10-ში მდებარეობს. გასულ წელს 7.500 კვ.მ. ფართის დაქირავება სამინისტროს 675.000 დოლარი დაუჯდა.

შენობის მფლობელ „ბიზნეს ცენტრი ბელინსკისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, საიჯარო ქირა თვეში 75.000 აშშ დოლარია.

ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე სამინისტროს შენობა 2015 წელს აუქციონზე 9,5 მლნ აშშ დოლარად „ჰუალინგ ჯგუფმა“ შეიძინა. ინვესტორი ადგილზე სასტუმროს გახსნას გეგმავს.

თბილისში ეკოსასტუმრო პარკ ჰოტელის გახსნა გადაიდო

„მეიდან ჯგუფმა“ თბილისში ეკოსასტუმრო პარკ ჰოტელის გახსნა გადადო. სასტუმროს გამხსნელი მენეჯერი შალვა ალავერდაშვილი „კომერსანტთან“ მიზეზებზე არ საუბრობს. მისი განცხადებით, ამ დროისთვის სასტუმრო აშენებულია, თუმცა დარჩენილია მცირე დეტალები, რომელთა მოგვარებასაც დამატებითი ფინანსები სჭირდება.

ალავერდაშვილის განცხადებით, ამ დროისთვის უცნობია, როდის მოგვარდება დასახელებული პრობლემები და ეკოსასტუმრო როდის გაიხსნება.

როგორც ცნობილია, ეკოსასტუმროს გახსნა მიმდინარე წლის ივნისში იყო დაანონსებული. ეს იქნება ერთ-ერთი პირველი ეკოსასტუმრო თბილისში, მისი სახურავი სრულად ბალახითა და ყვავილებით იქნება დახურული, თავად სასტუმრო კი გარედან ხის მასალით იქნება მოპირკეთებული.

სასტუმროს გამხსნელი მენეჯერი მიმდინარე წლის მარტში აცხადებდა, რომ განიხილება სასტუმროში ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენებაც. სასტუმრო „ვარდების ბაღში“ მდებარეობს, ის 63-ნომრიანი და 3-ვარსკვლავიანი იქნება. აქვე განთავსებული იქნება საკონფერენციო დარბაზი და სპაცენტრი.

სასტუმროს მოწყობისთვის 2 მილიონ დოლარამდე დაიხარჯა.

მეიდან ჯგუფი არის უძრავი ქონების განვითარების კომპანია, დაარსებული 2.000 წელს. კომპანიის მიზანია თბილისის ისტორიულ ნაწილში ინვესტიციებისა და ახალი პროექტების განხორციელება არქიტექტურული ტრადიციების შენარჩუნებით. მეიდან ჯგუფის მართვაშია დღეისათვის სამი ბიზნესცენტრი ქ.თბილისში: „მეიდან პალასი“, „მანთაშევის სავაჭრო რიგები“ და „დიპლომატთა სახლი“.

„მეიდან ჯგუფმა“ წლის დასაწყისში თბილისში ბალნეოლოგიური კურორტი შეიძინა. ადგილზე თანამედროვე სტანდარტების სასტუმრო კომპლექსის მოწყობა იგეგმება.

ლევან გამყრელიძე: „მაქვს ნათელი ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ფინანსურ დანაშაულებთან ბრძოლა“

– მაქვს ნათელი ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ფინანსურ დანაშაულებთან ბრძოლა და როგორ უნდა გახდეს კიდევ უფრო ეფექტური უწყების საქმიანობა.

ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ახალმა უფროსმა ლევან გამყრელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

გამყრელიძის თქმით, მისთვის აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელობა საპასუხისმგებლოა. მან ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

– მადლობა ნდობისთვის, ეს ჩემთვის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაა. საგამოძიებო სამსახური ჩემთვის ნაცნობი და მშობლიურია, რადგან იქ გატარებული მაქვს 11 წელი. კარგად ვიცი რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას მისი განვითარებისთვის, მაქვს ნათელი ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ფინანსურ დანაშაულებთან ბრძოლა და როგორ უნდა გახდეს უფრო ეფექტური უწყების საქმიანობა, – განაცხადა ლევან გამყრელიძემ.

ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, სამინისტროს საგამოძიებო უწყება გამოირჩევა, როგორც წამყვანი უწყება, ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლასთან მიმართულებით, შესაბამისად, სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე გამოცდილი კადრის დანიშვნა მნიშვნელოვანია.

ფინანსთა მინისტრის თქმით, უნდა გადაიდგას ნაბიჯები სამსახურის რეფორმირებისა და არსებული გამოწვევების გამკლავების მიმართულებით. მინისტრი იმედს გამოთქვამს, რომ ლევან გამყრელიძე აღნიშნულ საქმიანობას კარგად წარუძღვება. მისივე თქმით, გამყრელიძეს ნდობა აქვს როგორც ფინანსთა მინისტრის, ასევე სამთავრობო გუნდის, მათ შორის პრემიერ-მინისტრისაც.

– ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგამოძიებო სამსახური გამოირჩევა როგორც წამყვანი უწყება ფინანსური დანაშაულის ბრძოლის მიმართულებით. სამსახური, რომელიც ეფექტიანად წარმართავდა საქმიანობას, დღეს ახალი გამოწვევების წინაშე დგას.

სამსახურის წინაშე დასმული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც კარგად იცნობს საგადასახადო სისტემას, გადასახადების გადამხდელთა ფსიქოლოგიას, ფინანსური დანაშაულის გამოვლენას და აქვს მის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება.

ჩვენ საგამოძიებო სამსახურის გაძღოლა შევთავაზეთ ადამიანს, რომელმაც ყველა უწყებაში თავი გამოიჩინა, როგორც პროფესიონალმა, კარგმა მენეჯერმა და რეფორმატორმა. ამდენად ვფიქრობ, რომ ის ახალ თანამდებობაზე მუშაობას დიდი ენთუზიაზმით წარმართავს. მნიშვნელოვანია გადაიდგას ნაბიჯები სამსახურის რეფორმირების, ნორმატიული ბაზის სრულყოფისა და დღეს არსებულ გამოწვევებთან გამკლავების მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კვალიფიციურ გუნდთან მუშაობა, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნულ უწყებაში საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებითაც გააკეთა მოკლე განცხადება. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ბადაშვილმა აღნიშნული თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება საკუთარი სურვილით მიიღო. მინისტრი თქმით, ბადაშვილმა უწყებაში არაერთი მნიშვნელოვანი და წარმატებული რეფორმა ჩაატარა. მან საგამოძიებო სამსახურის ყოფილ უფროსს ახალ თანამდებობაზე წარმატება უსურვა.

– გიორგი ბადაშვილი 2015 წლიდან ხელმძღვანელობდა საგადასახადო სამსახურს. მან არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა. გიორგი ბადაშვილმა თვითონ მიიღო სხვა სამსახურში გადასვლის გადაწყვეტილება და მე მინდა მას წარმატება ვუსურვო, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

ლევან გამყრელიძე ამ დრომდე შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა. მას ფინანსთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე 11-წლიანი მუშაობის სტაჟი გააჩნია. ლევან გამყრელიძემ აღნიშნულ თანამდებობაზე გიორგი ბადაშვილი ჩაანაცვლა, რომელიც გუშინ მთავარი პროკურორის მეოთხე მოადგილედ დაინიშნა.

ზოგიერთი დასახელების სიგარეტზე ფასებმა კვლავ მოიმატა

დღეის მონაცემებით, 10-დან 20 თეთრამდე გაძვირდა „ვინსტონის“, „პალმალის“, „მარლბოროს“, „პარლამენტის“, „გალუაზისა“ და სხვა რამდენიმე დასახელების სიგარეტი.

ფასები უცვლელი რჩება „კენტზე“, „მაგნასა“ და LM-ზე.

ჯიხურებში ვერ აკონკრეტებენ მიზეზს, თუ რატომ მოიმატა სიგარეტის ფასმა და მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ პროდუქცია მათ უკვე გაძვირებული ფასით მიიღეს.

სიგარეტზე ფასის მატება ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბრიდან დაიწყო. მას შემდეგ თამბაქოს ფასი რამდენჯერმე შეიცვალა. იმ დროს ფასის მატების მიზეზად ლარი-დოლარის გაცვლითი კურსი და „საგადასახადო კოდექსში“ აქციზის ზრდასთან დაკავშირებული ცვლილებები სახელდებოდა.

„8 პოლიციელი ურტყამდა, ერთ-ერთი ფარნით გაუპატიურებით დაემუქრა“

რა მოხდა მე-10 განყოფილებაში

მოქალაქე დავით გამხუაშვილი სამართალდამცავებს ფიზიკურ ანგარიშსწორებასა და სექსუალური ძალადობის მუქარაში ადანაშაულებს.

მან პოლიციელების წინააღმდეგ პროკურატურის ჩვენება უკვე მისცა. როგორც „ნიუპოსტს“ დაკავებულის ადვოკატმა ცოტნე ტყებუჩავამ განუცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფის ცემასა და ფსიქოლოგიურ ზეწოლაში 8 პოლიციელი მონაწილეობდა. აქედან 1 სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი წარმომადგენელია.

ადვოკატის განცხადებით, დავით გამხუაშვილს სამართალდამცველებმა დაკავების პროცესში სცემეს. ფიზიკური ანგარიშსწორება პოლიციის განყოფილებაშიც გაგრძელდა.

მოქალაქე ყაჩაღობის მუხლით არის დაკავებული, თუმცა მისი უფლებადამცველი „ნიუპოსტთან“ ამბობს, რომ გამხუაშვილს ჩაუდენელი დანაშაულის აღიარებას აიძულებდნენ.

– მოქალაქე დავით გამხუაშვილმა პროკურატურის წარმომადგენელს მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მუქარის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ერთ-ერთმა სამართალდამცავმა უთხრა, რომ ფარანს უკანა ტანში გაუკეთებდა.

გამხუაშვილი იხსენებს, რომ მას 7 ადამიანი ურტყამდა, ერთ-ერთი კი ყოფილი სპეცრაზმელი იყო, რომელიც თითქოს დაზარალებულია. დაკავებული აცხადებს, რომ 2017 წლის 5 ივნისს, თორმეტის წუთებზე გლდანის სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მისი ცემა გლდანის მე-10 განყოფილებაშიც გაგრძელდა, – უთხრა „ნიუპოსტს“ ადვოკატმა.

ტყებუჩავა ამბობს, რომ დაზიანებების სიმძიმის გამო წინასწარი დაკავების იზოლატორმა გამხუაშვილის მიღებაზე უარი განაცხადა.

– ფიზიკური ანგარიშსწორების შემდეგ, გლდანის პოლიციის განყოფილებიდან გამთენიისას მიიყვანეს წინასწარი დაკავების იზოლატორში, თუმცა იზოლატორმა უარი განაცხადა დაკავებულის მიღებაზე, რადგან გამხუაშვილი სასტიკად ნაცემი იყო. ამის შემდეგ ავტომობილით დიდხანს ატარეს და სამხარაულის ეროვნულ ბიუროში მიიყვანეს, სამხარაულმა, რადგან გარკვეული დრო იყო გასული, ექსპერტიზა არ ჩაუტარა, საბოლოოდ, გაურკვეველი ცნობების საფუძველზე კვლავ მიიყვანეს წინასწარი დაკავების იზოლატორსა და განყოფილებაში მოათავსეს, – განაცხადა დაკავებულის უფლებადამცველმა.

ცოტნე ტყებუჩავა აცხადებს, რომ დაკავების შემდეგ ის გამხუაშვილს რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ პოულობდა, საბოლოოდ მისი ადგილსამყოფელი ომბუდსმენის ოფისის აქტიური ჩართულობით დაადგინეს.

ტყებუჩავა ამბობს, რომ პოლიციის განყოფილებაში დაკავებულს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებაც კი არ მისცეს. რაც შეეხება ოფიციალურ ბრალს, ადვოკატის თქმით, ეს „ლამაზად შეფუთული ტყუილია“.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირი გლდანში დანიშნულების ადგილზე მიდიოდა, მას ქალის კივილის ხმა შემოესმა, ადგილზე მისულმა ნახა ავტომობილი, რომლის უკანა სავარძელზე ქალი და მამაკაცი იჯდა. ამბობს, რომ სექსუალურ აქტის ხილვისას ბოდიში მოუხადა მათ, რაზეც მანქანიდან აგრესიულად განწყობილი, შიშველი მამაკაცი იარაღით გადმოვარდა და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს თავზე დაადო. გამხუაშვილი იხსენებს, რომ აღნიშნული მამაკაცი კონკრეტული ქალის სახელს გაჰყვიროდა და აბრალებდა, რომ მისი მოგზავნილი იყო. ამის შემდეგ დაიყო მისი წამება, – განმარტა ადვოკატმა.

დაკავებულზე პოლიციელებისგან შესაძლო სექსუალური ძალადობის მუქარისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტს პროკურატურა უკვე იძიებს.

სკანდალური ფაქტის შესწავლა სახალხო დამცველმა მოითხოვა.

გუშინ განცხადება გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომაც. მღებრიშვილის უწყებაში აცხადებენ, რომ 5 ივნისს შუაღამისას, დაახლოებით, 03: 40 საათზე ი.ქ. კუთვნილი ავტომანქანით, თანმხლებ პირთან ერთად, სოფელი გლდანის სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა, როდესაც მათთან მივიდა ამჟამად ბრალდებულის სახით დაკავებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1980 წელს დაბადებული დ.გ., რომელმაც პისტოლეტის დემონსტრირებითა და მუქარით ცადა ი.ქ.-სთვის თანხისა და ოქროს სამკაულების წართმევა.

როგორც მღებრიშვილის უწყებაში აღნიშნავენ, ი.ქ. 2015 წლიდან აღარ არის პოლიციის მოქმედი თანამშრომელი. შსს-ს ცნობით, აღნიშნული პირი 18 წლის განმავლობაში შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეციალურ და ოპერატიულ ცენტრში მუშაობდა.

37 წლის დავით გამხუაშვილს მიმდინარე წლის 7 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ბრალდებული მერვე პენიტენციარულ დაწესებულებაშია მოთავსებული.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ლევან გამყრელიძე უხელმძღვანელებს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ლევან გამყრელიძე უხელმძღვანელებს.

ამის შესახებ გუშინ, 8 ივნისს, სპეციალურ პრესბრიფინგზე პირველმა ვიცეპრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, საგამოძიებო სამსახური, როგორც წამყვანი უწყება ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, დღეს ახალი გამოწვევების წინაშე დგას.

ახალ პოზიციაზე დანიშვნამდე ლევან გამყრელიძეს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პოსტი ეკავა.

– მას დღესაც ყოველდღიურ რეჟიმში აქვს შესახებ ფინანსებთან, გადასახადებთან და დარწმუნებული ვარ, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავს წარმატებით გაართმევს, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა და აღნიშნა, რომ ლევან გამყრელიძეს ასევე პრემიერ-მინისტრი უცხადებს სრულ მხარდაჭერას.

– საგამოძიებო სამსახურის წინაშე დასმული ამოცანების შესასრულებლად ჩვენ შევარჩიეთ ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც კარგად იცნობს საგადასახადო კანონმდებლობას, გადასახადის გადამხდელთა ფსიქოლოგიას და აქვს ფინანსური დანაშაულის გამოვლენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება.

საგამოძიებო სამსახურის გაძღოლა შევთავაზეთ ადამიანს, რომელმაც ყველა იმ უწყებაში, სადაც ის ხელმძღვანელ პოზიციას იკავებდა, თავი გამოიჩინა, როგორც პროფესიონალმა, კარგმა მენეჯერმა და რეფორმატორმა. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ის ახალ პოზიციაზე მუშაობისას, საქმიანობას წარმართავს დიდი ენთუზიაზმით, – განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა.

მისი თქმით, ლევან გამყრელიძეს საგამოძიებო სამსახურში მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება აქვს.

პირველმა ვიცეპრემიერმა ასევე ისაუბრა საგამოძიებო სამსახურის ყოფილ უფროს გიორგი ბადაშვილზე, რომელიც აღნიშნულ უწყებას 2015 წლიდან ხელმძღვანელობდა.

– გიორგი ბადაშვილმა არაერთი რეფორმა გაატარა აღნიშნულ უწყებაში. მან თავად მიიღო გადაწყვეტილება სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით, რაშიც მინდა მას წარმატება ვუსურვო, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მედიის წინაშე მოკლე განცხადება გააკეთა საგამოძიებო სამსახურის ახალმა ხელმძღვანელმა ლევან გამყრელიძემ.

– კარგად ვაცნობიერებ, თუ რა მნიშვნელოვანია ისეთი სამსახურის ხელმძღვანელობა და სწორად მართვა, როგორიც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურია. საგამოძიებო სამსახური ჩემთვის კარგად ნაცნობი და მშობლიურია. ამ სფეროში ჩემი 11-წლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, კარგად ვიცი, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მისი შემდგომი განვითარებისთვის. მაქვს ნათელი ხედვა, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლა და როგორ უნდა გახდეს კიდევ უფრო ეფექტური აღნიშნული უწყების საქმიანობა, – განაცხადა ლევან გამყრელიძემ.

„ისლამურ სახელმწიფოში“ 20.000 ტერორისტია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენების თანახმად, „ისლამურ სახელმწიფოში“ 20.000 ტერორისტია გაერთიანებული. მოხსენება გაეროს უშიშროების საბჭოს გუშინ წარედგინა.

მოხსენების თანახმად, გასული 16 თვის განმავლობაში ტერორისტების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ასევე შემცირდა ერაყსა და სირიაში სხვა ქვეყნებიდან შემოსული ახალწვეული ტერორისტების რიცხვი, თუმცა გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტერორისტები თავიან სამშობლოში ბრუნდებიან და შემდეგ სხვა რეგიონებში გადაადგილდებიან.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ 2016 წლის იანვრიდან ISIS-ი სერიოზულ სამხედრო მარცხს განიცდის, თუმცა ჯერ კიდევ მის კონტროლქვეშაა მოსული და რაკა.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ტერორისტები აქტიურად იყენებენ ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებს, როგორც პროპაგანდის, ასევე უცხოელი მოხალისეების დაქირავებასა და მათთან პირდაპირი კონტაქტების საქმეში, რისთვისაც მათ მშობლიურ ენას იყენებს. ასეთი მიმოწერისა და კონტაქტების დროული გადაჭერა ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან ISIS-ი სპეციალური დაშიფვრის სერვისებით სარგებლობს.

რუსთავში დამხრჩვალი ბავშვი მაშველებმა ტბიდან ამოიყვანეს



რუსთავში მე-11 მიკრორაიონში ხელოვნურ ტბაში დამხრჩვალი 9 წლის ბავშვი მაშველებმა ტბიდან ამოიყვანეს. როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის ექიმმა განაცხადა, ბავშვს წყლიდან ამოყვანისას ხილული დაზიანებები არ ჰქონდა და დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი.

სამი მოზარდი ტბაში საბანაოდ დაახლოებით ორი საათის წინ ჩავიდა, მათგან ერთ-ერთი კი წყალში გაუჩინარდა. სამძებრო სამუშაოები ორ საათს გრძელდებოდა. აწ გარდაცვლილი ტბაში ასევე მცირეწლოვან ძმასთან ერთად ბანაობდა.

აშშ-ში მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდებით 15 ქართველი დააკავეს

მათ შორისაა 2 სპორტსმენი – ავთანდილ ხურციძე და ლევან მაყაშვილი

აშშ-ში საქართველოს 15 მოქალაქე დააკავეს, რომლებსაც რუსულ მაფიასთან კავშირი ედებათ ბრალად.

– ამერიკელი სამართალდამცველების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებულები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც წარდგენილი აქვთ ბრალი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში როგორიცაა, ორგანიზებული ჯგუფის მიერ რეკეტი, გამოძალვა, თაღლითობა, ძარცვა და სხვა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ნიუ იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა დიანა ჟღენტმა განუცხადა.

დიანა ჟღენტის განცხადებით, საკონსულო აქტიურ კონტაქტშია ამერიკელ სამართალდამცველებთან და ელოდებიან გამოძიების მიმდინარეობის დასრულებას.

– ამერიკის ფედერალური ბიუროს განცხადებით, მათ დააკავეს კრიმინალური ჯგუფის წევრები, რომლებსაც ბრალი ედებათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში. გუშინ, 7 ივნისს, ნიუ იორკის სამხრეთის ოფისის პროკურატურის მიერ გაკეთდა განცხადება, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია, დაკავებულებისა და მათ მიმართ წაყენებული ბრალდებების შესახებ.

გენერალური საკონსულო კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურ კონტაქტშია სამართალდამცველ ორგანოებთან. სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობამდე დაკავებული პირები ითვლებიან უდანაშაულოდ და ველოდებით გამოძიების დასრულებას. გამოძიება აქტიურ ფაზაშია, – განაცხადა დიანა ჟღენტმა.

ნიუ იორკში დაკავებულ 15 ქართველს შორისაა ორი ქართველი სპორტსმენი – ავთანდილ ხურციძე და ლევან მაყაშვილი.

აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებული ქართველების სია ასე გამოიყურება:

რაჟდენ შულაია, ზურაბ ჯანაშვილი, აკაკი უბილავა, ჰამლეტ უგლავა, მამუკა ჩაგანავა, მიხეილ თორაძე, ავთანდილ კანადაშვილი, ნაზო გაფრინდაშვილი, ზურაბ ბუზიაშვილი, გიორგი ლომიშვილი, დიეგო გაბისონია, ლევან მაყაშვილი, ავთანდილ ხურციძე, ერეკლე კერესელიძე, ნიკოლოზ ჯიქია.

აშშ-ის სპეცსამსახურები: „რუსების ამერიკულ არჩევნებში ჩარევა ეჭვს არ იწვევს“

აშშ-ის სენატში გრძელდება მოსმენები არჩევნებში რუსების ჩარევისა და ტრამპის ადმინისტრაციის მოსკოვთან კონტაქტებთან დაკავშირებით.

ამჯერად სენატის წინაშე წარდგნენ გფბ-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მაკეიბი, ნაციონალური უსაფრთხოების ასამბლეის თავმჯდომარე, ადმირალი როჯერსი, ნაციონალური დაზვერვის შეფი კოუტსი.

შეკითხვას, ჩაერია თუ არა რუსეთი აშშ-ის პრეზიდენტობის არჩევნებში, სამივემ მტკიცე პასუხი გასცა: დიახ!

ადმირალი როჯერსი დაწვრილებით მოყვა იმ სამუშაოზე, რაც მისმა უწყებამ გფბ-სა და ნაციონალურ დაზვერვასთან ერთად ჩაატარა. შედეგად მოპოვებულ იქნა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსები არჩევნებში ჩარევას აპირებდნენ. მთელი ეს ცნობები აშშ-ის იმჟამინდელ პრეზიდენტ ობამას მაგიდაზე დაიდო.

– ამით ჩვენი მისია ამოიწურა. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება უკვე პრეზიდენტის პრეროგატივა იყო, – თქვა როჯერსმა.

შეკითხვაზე, თვლით თუ არა, რომ ობამას გამბედაობა არ ეყო, თქვენს ინფორმაციაზე სათანადო რეაგირება მოეხდინა, როჯერსმა მიუგო, რომ ამაზე სენატის წინაშე საუბარი არაკორექტულად მიაჩნია.

– ობამა აშშ-ის პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი იყო, ჩვენ – ჯარისკაცები. ჩვენ ინფორმაცია მივაწოდეთ. დასკვნები თავად გააკეთეთ, – თქვა როჯერსმა.

გფბ-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მაკეიბმა განაცხადა, რომ რუსების ამერიკულ არჩევნებში ჩარევის საკითხი ეჭვს არ იწვევს. აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენა მოახდინა ამან არჩევნების შედეგებზე. მაკეიბმა ხაზი გაუსვა, რომ კომის გადაყენებამ გამოძიებაზე არავითარი ზეგავლენა არ იქონია.

– გამოძიება თავისი გზით მიდის, – განაცხადა მაკეიბმა.

სენატორებს ძალზე აინტერესებდათ, ცდილობდა თუ არა ტრამპი სპეცსამსახურებზე გავლენის მოხდენას, რათა გამოძიება შეეწყვიტათ ან პრეზიდენტისთვის სასურველი მიმართულებით წაეყვანათ.

პასუხი ასეთი იყო:

– გინდათ იკითხოთ, გვიბრძანა თუ არა ტრამპმა, რომ გამოძიებისთვის მისთვის სასურველი ელფერი მიგვეცა ან შეგვეწყვიტა? პრეზიდენტისგან ასეთი ბრძანება არ მიგვიღია!

– კერძო საუბრებისას ამაზე თუ იყო საუბარი?

– გვაპატიეთ, მაგრამ კერძო საუბარი კერძო ხასიათისაა და ამაზე საჯაროდ ლაპარაკი არაკორექტულია!

განსხვავებულია გფბ-ს ყოფილი დირექტორის, ჯეიმს კომის, პოზიცია. როგორც ცნობილია, კომი ამ თანამდებობიდან ტრამპმა გადააყენა. სენატის წინაშე წარდგენამდე ერთი დღით ადრე კომიმ თავისი გამოსვლის ჩანაწერი ჟურნალისტებს გააცნო. გფბ-ს ექსდირექტორი ამბობს, რომ ტრამპი მასზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობდა.

– პრეზიდენტმა პირდაპირ მითხრა, რომ მისი მრჩევლის, მაიკ ფლინისთვის, თავი დამენებებინა, – თქვა კომიმ.

აშშ-ის სენატში საპრეზიდენტო არჩევნებში რუსების ჩარევასთან დაკავშირებით მოსმენები გრძელდება.

ტრამპი და პუტინი ჰამბურგში შეხვდებიან?

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ შესაძლოა პუტინი და ტრამპი ერთმანეთს ამა წლის ივნისში შეხვდნენ. საუბარია დიდი ოცეულის შეკრებაზე, რომელიც ჰამბურგში გაიმართება.

– თუმცა ყველაფერი საბოლოოდ გარკვეული არ არის, – ამბობს პესკოვი.

აშშ-ის ელჩმა რუსეთში ტეფტმა დაადასტურა, რომ პუტინ-ტრამპის შეხვედრის საკითხი არ არის გარკვეული.

– არ არის გამორიცხული, რომ რუსეთ-აშშ-ის ლიდერები ერთმანეთს მართლაც ჰამბურგში შეხვდნენ, თუმცა ეს საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, – ამბობს ტეფტი.

რუსეთში პოლიციური რეჟიმის კიდევ უფრო გამკაცრება სურთ

რუსეთის ფედერალურ საბჭოში საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით მოსმენები გაიმართა. საბჭოს წინაშე ვრცელი მოხსენებით წარდგა დაზვერვის უფროსი ნარიშკინი. მან განაცხადა, რომ აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგ ნამდვილი ომი გააჩაღა.

– ამერიკელები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი არ შედგეს, – თქვა ნარიშკინმა.

დაზვერვის შეფს მხარი რუსეთის გენპროკურორმა ჩაიკამაც დაუჭირა. მან აღნიშნა, რომ ამერიკელების ძირგამომთხრელი პოლიტიკის განეიტრალება აუცილებელია და საამისოდ სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნაა საჭირო.

– ერთიანობა, კლასობრივი მშვიდობა, სიფხიზლე – ესაა თავმდები იმისა, რომ გავიმარჯვებთ. ამერიკელების აგენტურას საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს და რუსი დეპუტატებიც, იმედია, მხარში ამოგვიდგებიან, – თქვა ჩაიკამ.

კიევი: აფეთქება ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე

უკრაინის დედაქალაქში ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე აფეთქება მოხდა. დადგენილია, რომ უცნობმა პირმა საელჩოსაკენ ისროლა ასაფეთქებელი მოწყობილობა.

აფეთქების შედეგად არავინ დაზარალებულა.

შემთხვევის ადგილზე გაჩნდნენ უკრაინის უშიშროების სამსახურის, პოლიციის, პროკურატურის წარმომადგენლები.

კიევში აშშ-ის საელჩო ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქებას ტერორისტულ აქტად არ აფასებს. აღნიშნულის შესახებ უკრაინაში აშშ-ის საელჩოს პრესსამსახურის განცხადებაშია ნათქვამი.

– ამ დროისთვის აღნიშნულ შემთხვევას ტერორისტულ აქტად არ განვიხილავთ, – აღნიშნულია განცხადებაში.

საელჩო ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს და ინციდენტის გამოძიებასთან დაკავშირებით უკრაინელ სამართალდამცველებთან თანამშრომლობს.

ჩრდილოეთ კორეამ ახალი რაკეტები გამოცადა

კორეის ნახევარკუნძულთან აშშ-ის სამხედრო ხომალდების კონცენტრაცია გრძელდება. პასუხად ჩრდილოეთ კორეამ გემთსაწინააღმდეგო რაკეტები გამოცადა. დიქტატორ კიმ ჩენ ინის ცნობით, გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

– ამერიკელებს ვაფრთხილებ, რომ თუკი თავს არ დაგვანებებენ, მათ ხომალდებს ჩავძირავთ! – იმუქრება ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა მაიკ პენსმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეა საშიშ თამაშს თამაშობს.

– კორეელები ათამაშებენ კუნთებს, რომლებიც არ აქვთ, – ამბობს პენსი.

ნიგერია: ტერორისტებმა დიდ ქალაქს შეუტიეს

ტერორისტულმა ორგანიზაცია „ბოკო ჰარამმა“ ქალაქ მაიდუტურს შეუტია.

ამ ქალაქში მილიონამდე მცხოვრებია. ქალაქის დასაცავად არმიის გამოყვანა გახდა აუცილებელი.

შტატ ბორნოს გუბერნატორმა (მაიდუტური ამ შტატის შემადგენლობაში შედის) დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ტერორისტებმა მაიდუტურს დაარტყეს. გუბერნატორმა ბი-ბი-სი-ს კორესპონდენტს განუცხადა:

– ტერორისტების შეტევა მოულოდნელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა არმიამ ის წარმატებით მოიგერია!

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

გოლდენ სტეიტი კლივლენდს 3:0-ს უგებს

ზაზა ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტ უორიორსმა ნბა-ს ფინალური სერიის მე-3, გასვლითი მატჩიც მოუგო ლებრონ ჯეიმსის კლივლენდ კავალიერზს და სერიაში 3:0 დაწინაურდა.

ამით ზაზა ფაჩულია 1 ნაბიჯით მიუახლოვდა საჩემპიონო ბეჭედს. მართალია, ქართველი ცენტრი კლივლენდის მატჩში შედეგიანობით ვერ გამოირჩა, თუმცა მისმა გუნდმა იმარჯვა და მთავარიც ეს არის.

მატჩი ისე სრულდებოდა, თითქოს მასპინძელთა გამარჯვება გარდაუვალი იყო, თუმცა ბოლო ორწუთ-ნახევარში ოკლენდელებმა კევინ დიურანტის თაოსნობით 5-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს და საბოლოოდ იმარჯვეს – 118:113.

დიურანტმა საბოლოოდ 31 ქულა მოაგროვა. ერთით ნაკლები ქულით დაასრულა შეხვედრა კლეი ტომპსონმა, რომელმაც 6 სამქულიანი ჩააგდო, სტეფ კარიმ კი შეხვედრა 26 ქულით, 13 მოხსნითა და 6 შედეგიანი პასით დაასრულა.

ზაზა ფაჩულია, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 13 წუთში მხოლოდ 1 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა ცენტრმა სამივე სროლა ააცილა, ბურთი 4-ჯერ დაკარგა და ამდენჯერვე დაჯარიმდა.

მორიგი ფინალური მატჩი, რომლის მოგების შემთხვევაშიც გოლდენ სტეიტი ჩემპიონი გახდება, კვლავ კლივლენდში გაიმართება.

ქალ ხელბურთელთა ეროვნული გუნდი ევროპას უბრუნდება

გუშინ საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები ხელბურთში კოსოვოში გაემგზავრა, სადაც ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი რაუნდი ელის. დღეს ქალაქ ჯაკობეში ვეთამაშებით ისრაელს, ხოლო 10 ივნისს პრიშტინაში – კოსოვოს. ძირითად შესარჩევ ეტაპზე მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გადის.

უკვე ცნობილია, რომ კოსოვოს ტურნირის გამარჯვებული მოხვდება მე-2 რაუნდის მე-7 ჯგუფში, ჰოლანდიასთან, უნგრეთთან და ბელარუსთან. იქ უკვე 2-წრიანი ტურნირი გაიმართება, პირველ ეტაპზე კი 2 ჯგუფად დაყოფილი 6 გუნდი ერთ წრედ თამაშობს. წილისყრისას მასპინძლობის პრიორიტეტი კოსოვოსა და ფარერის კუნძულების ფედერაციებს ერგოთ, თუმცა, ფარერებმა ეს უფლება არ გამოიყენა და ა ჯგუფის ტურნირი (ფინეთი, ფარერები, საბერძნეთი) ათენში გაიმართება.

ქალთა ეროვნულ ნაკრებს ერთადერთხელ, 1994 წელს უთამაშია ევროპის ჩემპიონატის კვალიფიკაცია და ტურნირში 24 წლიანი შესვენების შემდეგ ჩაებმება. ქალთა ხელბურთს ჩვენში თითქმის 10-წლიანი პაუზა ჰქონდა, რის გამოც, ეროვნულ დონეზე ჯერჯერობით 2 – 19 და 17-წლამდელთა ასაკობრივი ნაკრების მოთამაშეებისგან შედგენილი გუნდით წარვდგებით.

მოთამაშე მწვრთნელის, ინა ჭკუასელის გარდა, ყველა თინეიჯერია: 3 ხელბურთელი 19 წლისაა, 4 – თვრამეტის, ერთი – ჩვიდმეტის და ორიც – თექვსმეტის. კოსოვო და ისრაელი ქალთა ხელბურთის გრანდები არ არიან, მაგრამ მათ ზრდასრული ქალები ეყოლებათ, და, შესაბამისად, ჩვენს გუნდს კოსოვოში განსაკუთრებული სპორტული მიზანი არ ექნება – ბრძოლა, გამოცდილების მიღება და იმის დაფიქსირება, რომ საქართველოს ქალთა ნაკრები მსოფლიო ასპარეზზე ბრუნდება. დანარჩენი მომავლის საქმეა.

საქართველომ ზედიზედ მეორე დიდი ანგარიშით იმარჯვა

საქართველო-სენტ ჯიტსი და ნევისი 3:0

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0, 2:0 არაბიძე (51, 73პ), 3:0 დვალიშვილი (80)

საქართველო: მაკარიძე, კაკაბაძე (კვერკველია 73), ტაბიძე, კაშია, კანკავა, ყაზაიშვილი (დვალიშვილი 67), კვეკვესკირი (დაუშვილი 46), არაბული (არაბიძე 46), კაჭარავა (ლობჯანიძე 67), მერებაშვილი, ნავალოვსკი (შერგელაშვილი 77)

სენტ კიტსი და ნევისი: ჯეფერსი, სენტ ჯასტი (ნოტინგემი 88), ვორტონი, მაინარდი, როჯერსი (ამორი 56), პანაიოტუ (ჰეზელი 89), ლიდერი, სომერსოლი (სტერლინგი 75), სპრინგერი, ტომასი (უილიამსი 65), სოიერსი

ბოლო 2 თამაში საქართველოს ნაკრებმა საერთო ჯამში 8:0 მოიგო. გემახსოვრებათ, ლატვიას 5:0 მოვუგეთ, ახლა კი კონკაკაფის წარმომადგენელ სენტ კიტსისა და ნევესის ნაკრებს 3:0.

მიუხედავად იმისა, რომ კარიბელები ფიფას რეიტინგში საგრძნობლად გვისწრებენ, ჩვენც და ყველა საფეხბურთო სპეციალისტი ქართველთა მოგებას გეგმავდა. ამის საფუძველს ისიც იძლეოდა, რომ სენტ კიტსელებმა რამდენი დღის წინ 0:5 წააგეს სომხეთის ნაკრებთან.

საქართველო ოპტიმალური შემადგენლობით ვერ დაუხვდა მეტოქეს, მაგრამ იოლად აჯობა. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 3:0 სძლია ეგზოტიკურ მეტოქეს.

უგოლო პირველი ტაიმი კი ქართველთა ბრალი იყო – რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შევქმენით და ვერცერთი ვერ გამოვიყენეთ. მომენტების სიმრავლეც მეტოქის უნიათობის ბრალი იყო – კარიბელებს ყველა კომპონენტში ვჯობდით და საკუთარი საჯარიმოს მისადგომებიდან ამოსვლა უჭირდათ. მხოლოდ ერთხელ გადმოვიდნენ ჩვენს ნახევარზე და გოლიც გაიტანეს, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დაუფიქსირა.

რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის ფონზე, გოლს 0:0-ზე ერთხელაც გადავრჩით – მცველების შეცდომის შედეგად კარიბელთა შემტევი პირისპირ დარჩა მაკარიძესთან და არაზუსტად დაარტყა. ეს მე-2 ტაიმის დასაწყისში მოხდა. ამ დროს მოედანზე გამოსულიყო იყო გიორგი არაბიძე, რომელმაც „გააკეთა“ კიდეც თამაში.

19 წლის გარემარბი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე და სამივე გოლში დაიდო წვლილი, აქედან ორი თავად გაიტანა. არაბიძემ ჯერ საჯარიმო შეასრულა ბრწყინვალედ, მერე პენალტი გამოიყენა, რომელიც მისივე წაქცევისთვის დაინიშნა, ხოლო 81-ე წუთზე შეტევა დაიწყო, მარჯვნივ გურამ კაშიას გააყოლა, რომლის დაბალ პასს ლადო დვალიშვილის ერთი შეხებით ზუსტი დარტყმა მოჰყვა.

მთლიანობაში ხარისხი არ იყო დამაჯერებელი. აშკარად გვეტყობოდა, რომ ფიზიკურად არცთუ კარგად ვიყავით მზად, რაც უფრო ჩვენი ფეხბურთელების სათამაშო პრაქტიკის არქონის ბრალია. მომენტების გამოუყენებლობა კი ისევ აქილევსის ქუსლად რჩება და უკეთესი მეტოქე ამას არ გვაპატიებს.

გია გრიგალავა: „იმედია, უახლოეს ციკლში ევროპის ჩემპიონატზე გასვლას შევძლებთ“

რუსეთის პრემიერლიგაში ტულის არსენალმა პლეი აუტში მოახერხა ელიტაში ადგილის შენარჩუნება. ამაში თავისი წვლილი საქართველოს ნაკრების მცველ გია გრიგალავასაც მიუძღვის.

გრიგალავას ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– რუსეთის პრემიერ ლიგაში თქვენი დებიუტი 10 წლის წინ შედგა.

– 18 წლის ვიყავი, როდესაც როსტოვის მწვრთნელმა ოლეგ დოლმატოვმა „ლუჟნიკებზე“ სპარტაკის წინააღმდეგ მატჩში მათამაშა. 0:3 წავაგეთ... ცოტა ხანი ვითამაშე, მე-2 ტაიმში გამომიყვანეს, შემდეგ დოლმატოვმა მალევე შემცვალა. ასეთი რაღაცები მას უყვარდა, შეეძლო, ცვლილება 30-ე წუთზეც გაეკეთებინა.

– 2009 წელს უკვე მოსკვაში თამაშობდით. იქ რა დაგამახსოვრდათ?

– მოსკვაში მწვრთნელ ბოჟოვიჩთან პრემიერ ლიგაში თამაში აქტიურად დავიწყე, რადგან როსტოვში ეპიზოდურად გამოვდიოდი.

– სპორტის ოსტატის ტიტული რის გამო მოგცეს?

– თასის ნახევარფინალისთვის. ფინალამდე ვერ მივედით – რუბინთან მინიმალური სხვაობით წავაგეთ.

– ოსტატის წოდების მიღება თქვენთვის მნიშვნელოვანი იყო?

– როგორ გითხრათ, დღემდე არ ვიცი, მედალი სად არის. მისი აღება შეიძლება, მაგრამ მოსკვა დიდი ხანია აღარ არსებობს.

– აიაქსში სტაჟირება გაიხსენეთ.

– ეს დიდი ხნის წინ იყო. აგენტთან ერთი კვირით ჩასვლას ვგეგმავდი, მაგრამ კიდევ 7 დღით დარჩენა მთხოვეს. სიმართლე გითხრათ, დიდად გული არ დამწყდა, რომ აიაქსს ვერ მოვერგე. 19 წლის ასაკში სახლში, რუსეთში მინდოდა. საზღვარგარეთ ენის ცოდნის გარეშე თამაში ძნელია. უბრალო ბიჭი ვიყავი, ვისთანაც ლაპარაკი ედგარ მანუჩარიანს შეეძლო. ის ახლა ურალშია.

– ევროპული კარიერის აშენება ხომ შეგეძლოთ. აიაქსის ტექნიკურმა დირექტორმა, ლეგენდარულმა დანი ბლინდმა მრავალმხრივი მოთამაშე გიწოდათ.

– ახლა რაღა ვინანო? შეიძლება გამოსულიყო, თუმცა ვერ გამოვიდა.

– ჰოლანდიაში რამ გაგაკვირვათ?

– ხარისხობრივად რუსეთთან შედარებით სხვა დონეა. მაშინაც კი, როცა მე-2 გუნდი ვარჯიშობს, პირობები ისეთია, როგორიც პირველ გუნდში. აიაქსში მაშინ დამწყები ნახევარმცველი კრისტიან ერიქსენი დამამახსოვრდა. ახლა ის ტოტენჰემის ერთ-ერთი ლიდერია.

– ბავშვობაში თქვენი კერპი ვინ იყო?

– არ მყავდა, ის ფეხბურთელები მომწონდა, რომლებიც ამა თუ იმ სეზონს ძლიერად ატარებდნენ. მათ შორის ნესტა, მალდინი და ლუსიო იყვნენ.

– 1990 წელს საქართველო სსრკ-დან გავიდა. იმ დღის შესახებ რა იცით?

– მამაჩემი ბევრს მიყვებოდა. ფეხბურთზე საუბრისას ყველა ქართველმა იცის, რომ თბილისის დინამომ თასების მფლობელთა თასის ფინალში კარლ ცაისს 1981 წელს მოუგო. დიდებული ფეხბურთელების შესახებ ბევრს დედის მხრიდან ბიძა მიყვებოდა. ის დიდი გულშემატკივარია – საქართველოში ხომ ფეხბურთით დაავადებულნი არიან.

– საქართველოში ახლა როგორი ცხოვრებაა?

– ჩვენთან ყველაფერი კარგია. ქვეყანაში სტაბილურობა და წესრიგია. ნაცნობებიდან, ვინც აქ ყოფილა, ყველას დაბრუნება სურს. ჩვენი

სტუმართმოყვარეობა არსად დაკარგულა.

– თქვენი აზრით, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე გასვლისთვის ბრძოლისთვის საქართველოს ნაკრებს რა აკლია?

– ჩვენ ყოველთვის რაღაც გვაკლია. ბოლო დროს მიზანს ვაღწევთ, იმედია, უახლოეს ციკლში ევროპის ჩემპიონატზე გასვლას შევძლებთ.

– ნაკრებში საუკეთესო მატჩი როდის ითამაშეთ?

– ალბათ, 2013 წელს საფრანგეთთან. ეს ბრაზილიაში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრა იყო. საფრანგეთს გოლი არ გავატანინეთ – 0:0. არადა, იმ გუნდის ყველა ფეხბურთელი ვარსკვლავია: ბენზემა, ჟირუ, რიბერი, ნასრი, ვალბუენა...

– ამჟამად საქართველოს ნაკრებს სლოვაკი ვაისი წვრთნის. ადრე არგენტინელი კუპერი იყო. თქვენს სამშობლოში ფსონი უცხოელებზე გაკეთდა?

– არა, საქართველოს თავისი კარგი სპეციალისტებიც ჰყავს. მაგალითად, თემურ ქეცბაია.

– არსენალში პირველი მატჩი კრასნოდარში ჩაატარეთ.

– სულ ბოლოს გამოვედი. მთავარმა მწვრთნელმა თამაშის შეგრძნების საშუალება მომცა. ვიცოდი, რომ კრილიასთან შემდეგ მატჩს ძირითადში დავიწყებდი. რიტმში შესვლა საჭირო იყო.

– სამარელებს გოლი გაუტანე, რომელიც გამარჯვების მომტანი იყო.

– იშვიათად ვიტან. საჯარიმოში „სტანდარტის“ დროს ჩავედი, ნიკიტა ბურმისტროვმა მეორე ჩაწოდების შემდეგ პასი ჩემზე გააკეთა, მე კი თავით დავარტყი. იმავე წერტილში მივედი, სადაც ვარჯიშზე ვიდექი. ალბათ, ეს კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი იყო. ამ მოგების შემდეგ კრილიას ცხრილში გადავუსწარით, თუმცა მომდევნო ტურში უფასთან დასანანი მარცხი განვიცადეთ.

– ყველაზე მეტად პრემიერ ლიგის რომელი თავდამსხმელის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?

– ყველაზე მეტ პრობლემებს ცსკა-დან ვაგნერ ლავი და დუმბია მიქმნიდნენ.

– დღეს თქვენი კარიერის პიკად რას მიიჩნევთ?

– პიკზე ჯერ არ ავსულვარ, ამას გარკვეულმა მომენტებმა ხელი შეუშალა. ვიცი, რომ ჩემი საუკეთესო სეზონი წინაა.

– სიმართლეა, რომ ყველა ქართველი კარგად მღერის.

– კი, თუმცა პირადად მე ღმერთმა ეს ნიჭი არ მომცა.

– რა მუსიკას უსმენთ?

– სხვადასხვას, ხასიათს გააჩნია. თამაშებისთვის განწყობას რუსული სიმღერები მიქმნის. ჯაზს ნაკლებად ვუსმენ, შესაძლოა, მხოლოდ რადიოში.

– თქვენი ოჯახის შესახებ მოგვიყევით.

– ჯერ თავისუფალი ადამიანი ვარ. როდის დავქორწინდები, კონკრეტული გეგმები არ მაქვს. არა მგონია, რომ 30 წლამდე აუცილებლად უნდა დაქორწინდე.

– გია გრიგალავას მეგობარ გოგონას რა თვისებები უნდა გააჩნდეს?

– ო, ეს გრძელი ისტორიაა.

– ადამიანებში რას აფასებთ?

– ერთგულებას, სამართლიანობას, დახმარების სურვილს.

– თავისუფალ დროს რას უთმობთ?

– ჯოკერის თამაში მიყვარს. მანქანები მომწონს. კომფორტულად მგზავრობა მიყვარს.

– მანქანებში კარგად ერკვევით?

– გარკვევა შემიძლია, მაგრამ გაკეთება – არა.

– თქვენი პირველი მანქანა რა მარკის იყო?

– პორშე კაიანი.

– კიდევ რა გიყვართ?

– მეგობრებთან დროის რესტორანში გატარება, ფილმების ყურება და ჟურნალების კითხვა მიყვარს.

– საკუთარი თავის შესახებ რას იტყოდით?

– მეგობრული და გახსნილი ადამიანი ვარ. ჩემზე უფრო მეტს მეგობრები გეტყვიან.

– 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ცოცხლად ნახავთ?

– აუცილებლად. ჯერ არ ვიცით, რომელ ქალაქში რომელი ნაკრები ითამაშებს, თუმცა როსტოვში ზუსტად ჩავალ. შეიძლება მოსკოვშიც და რომელიმე სხვა ქალაქშიც ვიყო.

შედეგები

7 ივნისი

ფეხბურთი

ჩმ 2018. შესარჩევი ეტაპი

ოკეანია

ფიჯი-ა.კალედონია	2:2

ამხანაგური მატჩები

ალჟირი-გვინეა	2:1
იაპონია-სირია	1:1
ჩინეთი-ფილიპინები	8:1
ჰონგ კონგი-იორდანია	0:0
საქართველო-სენტ კიტსი დანევისი	3:0
ფინეთი-ლიხტენშტეინი	1:1
ს.კორეა-ერაყი	0:0
იტალია-ურუგვაი	3:0
ესპანეთი-კოლუმბია	2:2

ეჩ 2019. შესარჩევი ეტაპი (21)

ბელარუსი-სან მარინო	1:0

ჩოგბურთი

ხოლან გაროსი

ჯაცები

ტიმი-ჯოკოვიჩი	7:6,6:3,6:0
კარენო ბუსტა-ნადალი	2:6,0:6,0:6
მარეი-ნიშიკორი	2:6,6:1,7:6,6:1
ვავრინკა-ჩილიჩი	6:3,6:3,6:1

ქალები

გარსია-პლიშკოვა	6:7,4:6
სვიტოლინა-ჰალეპი	6:3,6:7,0:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რა არის ფილტვგარეშე ტუბერკულოზი

ეკა ირემაშვილი

ბავშვებში ხშირია ტუბერკულოზის ფილტვგარეშე ფორმები და ამით ისინი განსხვავდებიან მოზრდილებისაგან. ამიტომაც არის, რომ ბავშვებს ამ დაავადების გადაცემის ნაკლები უნარი გააჩნიათ, რადგან გადაცემა ძირითადად ხდება ფილტვის ფორმის ტუბერკულოზის დროს, სხვა ფორმის დროს, ფილტვგარეშე ფორმებიდან კი მისი გადაცემა შეუძლებელია. ბავშვებში ამ ფორმას უკავია დაახლოებით დაავადების 25-35 პროცენტი.

ფილტვგარეშე ფორმებიდან ყველაზე ხშირია გულმკერდშიდა ლიმფური კვანძების და პერიფერიული ლიმფური კვანძების – კისრის, ლავიწზედა, ყბისქვეშა, იღლიის, უფრო ნაკლებად საზარდულის ლიმფური კვანძების დაზიანება.

რა არის ფილტვგარეშე ტუბერკულოზი, როგორია ტუბერკულოზის პროფილაქტიკა და რას უნდა მიაქციონ მშობლებმა ყურადღება? – ამ თემებზე იაშვილის კლინიკის რესპირაციული მედიცინის დეპარტამენტის პედიატრიული მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი ნანა ცხაკაია საუბრობს.

ნანა ცხაკაია:

– ბავშვებში ტუბერკულოზის ფორმები და სიმპტომები ძალიან მცირეა, ზოგჯერ შეუმჩნეველიც კია და ისიც არის ცნობილი, რომ არამძიმე ფორმის ტუბერკულოზის მქონე ბავშვებში 50 პროცენტს სიმპტომი არ აღენიშნება. ტუბერკულოზის სიმპტომები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ. პირველი – ეს არის ზოგადი სისტემური სიმპტომები – ინტოქსიკაციის სიმპტომები – ნიშნები, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ რომელიმე ორგანოს ან ქსოვილის დაზიანებასთან და მეორე – ლოკალური ორგანოს ან სისტემის დაზიანების სპეციფიკური სიმპტომები – ფილტვის ან ფილტვგარეშე ტუბერკულოზის სახასიათო სიმპტომები.

– როგორია ზოგადი ინტოქსიკაციის სიმპტომები?

– ეს არის ტემპერატურის მცირე აწევა, ადვილად დაღლა, ღამის ოფლი, უმადობა, წონაში მატების შეჩერება ან წონის კლება, თუმცა შესაძლებელია, ძალიან მწვავედ, მაღალი ცხელებით ძლიერი სისუსტით დაიწყოს, რაც დაავადების მძიმე ფორმაზე მიგვანიშნებს და საშიშია.

ყველაზე ხშირად ორგანოებიდან ზიანდება ფილტვი და ეს შეიძლება გამოვლინდეს ხველით, რომელიც 2 კვირაზე მეტ ხანს გრძელდება. ეს არის უფრო მშრალი ხველა ან ნახველით. ბავშვებს ნახველის გამოყოფა უძნელდებათ, ხველა ხანგრძლივდება და მორეციდივე ხასიათს იღებს. საყურადღებოა სუნთქვის გაძნელება, მსტვინავი სუნთქვა, ტკივილი გულმკერდის არეში, იშვიათად სისხლიანი ნახველი.

– რას ნიშნავს ფილტვგარეშე ტუბერკულოზი?

– ბავშვებში ხშირია ტუბერკულოზის ფილტვგარეშე ფორმები და ამით ისინი განსხვავდებიან მოზრდილებისაგან. ამიტომაც არის, რომ ბავშვებს ამ დაავადების გადაცემის ნაკლები უნარი გააჩნიათ, რადგან გადაცემა ძირითადად ხდება ფილტვის ფორმის ტუბერკულოზის დროს, სხვა ფორმის დროს, ფილტვგარეშე ფორმებიდან მისი გადაცემა შეუძლებელია. ბავშვებში კი ამ ფორმას უკავია დაახლოებით დაავადების 25-35 პროცენტი.

ფილტვგარეშე ფორმებიდან ყველაზე ხშირია გულმკერდშიდა ლიმფური კვანძებისა და პერიფერიული ლიმფური კვანძების – კისრის, ლავიწზედა, ყბისქვეშა, იღლიის, უფრო ნაკლებად საზარდულის ლიმფური კვანძების დაზიანება.

შესაძლებელია რომელიმე ერთი ჯგუფის ლიმფური კვანძების გადიდება, თუმცა იგი შეიძლება გამოვლინდეს მრავალი კვანძის მცირე გადიდების სახითაც.

– რას იტყვით მუცლის ღრუს ორგანოების ტუბერკულოზზე?

– ძალიან საყურადღებოა მუცლის ღრუს ორგანოების ტუბერკულოზი. ის შეიძლება გამოვლინდეს მუცელში მდებარე ლიმფური კვანძების დაზიანების, ნაწლავის დაზიანებისა და პერიტონიუმის ტუბერკულოზის სახით ანუ ტუბერკულოზური პერიტონიტის სახით. ასეთ პაციენტებს აღენიშნებათ მუცლის ტკივილი, შეიძლება ამ ტკივილს თან ერთვოდეს არამყარი ნაწლავთა მოქმედება, შეიძლება ყაბზობით მიდიოდეს ან დიარეისა და ყაბზობის მონაცვლეობით. შეიძლება განვითარდეს მუცლის გადიდება მაშინ, როცა პერიტონიალური სითხე იმატებს და ზოგჯერ ძალიან დიდ ზომას აღწევს ხოლმე მუცელიც, მაგრამ ამას თან ერთვის ზოგადი სიმპტომები, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ.

– როგორია ტუბერკულოზის საწყისი ეტაპი?

– საწყის ეტაპზე შეიძლება გამოვლინდეს კანის დაზიანება კვანძოვანი ერითემის სახით, რომელიც უფრო ქვედა კიდურებზე, მრგვალი, გაფანტული, ოდნავ მტკივნეული წითელი ფერის გამონაყარის სახით ვლინდება.

საშარდე სისტემის, ძვლებისა და სახსრების ტუბერკულოზი უფრო გვიან ვითარდება, თუმცა შეიძლება შეგვხვდეს მცირე ასაკშიც, უფრო მეტად იმ დროს, როცა ყველა ორგანოში ვითარდება ტუბერკულოზი ანუ ადგილი აქვს ტუბერკულოზის დისემინირებულ ფორმას.

შეიძლება განვითარდეს მენჯ-ბარძაყის სახსრის, მუხლის, ხერხემლის, ნეკნის ან სხვა ნებისმიერი ორგანოს ტუბერკულოზი.

– რა არის ტუბერკულოზური მენინგიტი?

– ტუბერკულოზური მენინგიტი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომელიც ყველაზე საშიშია და მკურნალობის გარეშე აუცილებლად ფატალური შედეგით მთავრდება. დაავადება უფრო მეტად თანდათან, შეუმჩნევლად იწყება ზოგადი სიმპტომებით, რომლებზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ამას ემატება ძილიანობა, არაადეკვატური რეაქცია გაღიზიანებაზე, სავსე ყიფლიბანდი, ღებინება, კრუნჩხვა და კეფის დაჭიმვა. თუკი დროულად არ იქნა ბავშვი მიყვანილი სპეციალისტთან და არ დაისვა დიაგნოზი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმდება და სიკვდილით მთავრდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებში ტუბერკულოზის სწრაფ გამოვლენასა და სწორ მკურნალობას. აქედან გამომდინარე, დიდია არა მხოლოდ ფტიზიოპედიატრების, არამედ ზოგადი პედიატრებისა და მშობლების პასუხისმგებლობა, რათა ეჭვი მიიტანონ ამ დაავადებაზე და დროულად მიიყვანონ ბავშვი ექიმთან.

– რა უნდა ქნას დედამ, თუკი ახლობელს, რომელთანაც ბავშვი ხშირად არის, ფილტვის ტუბერკულოზი აღმოაჩნდება?

– ასეთ დროს დედამ აუცილებლად უნდა მიმართოს ფტიზიოპედიატრს.

– რა როლს ასრულებს ბეცეჟე ვაქცინაცია ტუბერკულოზის დაცვაში?

– ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოწოდებით, ბეცეჟე ვაქცინაცია რუტინულად ტარდება ტუბერკულოზის ენდემურ ქვეყნებში, საქართველოში – დაბადებიდან მე-2-4 დღეს.

ბეცეჟე ვაქცინაციის ეფექტურობის შესახებ კონტროვერსული მონაცემები არსებობს. ბეცეჟე ვაქცინა ტუბერკულოზის განვითარების რისკს, მათ შორის ახალშობილებსა და ჩვილებში 50 პროცენტით ამცირებს. განსაკუთრებით ეფექტურია ბავშვებში მძიმე ტუბერკულოზის პრევენციისთვის და 60-80 პროცენტით ამცირებს ტუბერკულოზური მენინგიტისა და დისემინირებული ტუბერკულოზის რისკს.

ამიტომ, თუ თქვენ ბავშვს შეამჩნევთ ადვილად დაღლას, უმადობას, წონაში მატების შეჩერებას, ტემპერატურის მატებას, გახანგრძლივებულ ხველას, გადიდებულ ლიმფურ კვანძებს კისერზე, იღლიასა და სხვა მიდამოებში, ზედმეტ ძილიანობას, თავის ტკივილს, ღებინებასა და კიდევ ზემოთ ჩამოთვლილ სხვა მრავალ ნიშანს, გახსოვდეთ, რომ არსებობს დაავადება – ტუბერკულოზი, რომ ის არ არის სამარცხვინო და მრავალ, ძალიან ცნობილ და დიდ პიროვნებას ჰქონდა და განკურნებადია, თუ დროულად მიმართავთ ექიმს.

ჯორჯ და ამალი კლუნებს ტყუპები შეეძინათ



ამერიკელი კინომსახიობი ჯორჯ კლუნი და მისი მეუღლე, უფლებადამცველი ამალი კლუნი (ალამუდინი) ტყუპების მშობლები გახდნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გამოცემა წყვილის ოფიციალურ განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც გამოცემა იუწყება, ახლადდაბადებულ გოგონას ელა დაარქვეს, ხოლო ბიჭს – ალექსანდრე.

– ელა, ალექსანდრე და ამალი ჯანმრთელად, ბედნიერად არიან და თავს შესანიშნავად გრძნობენ. ჯორჯი დამამშვიდებლის მოქმედების ქვეშ იმყოფება და გონს ორ დღეში მოვა, – ნათქვამია ოჯახის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ჯორჯ კლუნი და ამალი ალამუდინი 2014 წლის სექტემბერში იტალიაში დაქორწინდნენ.

უხუცესი ზარმაცა ავსტრალიაში დააძინეს

ავსტრალიის ქალაქ ადელაიდის ზოოპარკში 43 წლის გოფმანის ზარმაცა, სახელად მისს სი, დააძინეს.

– მკურნალობა, რომელიც მისს სის ესაჭიროებოდა, უკიდურესად მძიმე პროცედურებს მოიცავდა, რომელიც მხოლოდ მცირე ხნით შეაჩერებდა იმას, რაც უცილობლად უნდა მომხდარიყო. ამიტომ, არცთუ ადვილი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მიემართათ ჰუმანური ევთანაზიისთვის, – განმარტა ზოოპარკის თანამშრომელმა ფილ ეინსლიმ.

მისივე თქმით, მისს სი მსოფლიოში უხუცეს ზარმაცად ითვლებოდა. ის ადელაიდაში 1974 წელს დაიბადა და თავის გარეულ თანამოძმეებზე რამდენადმე დიდხანს იცოცხლა, რომლებიც ჩვეულებრივ 10-12 წელი ცოცხლობენ. ის ავსტრალიური ზარმაცების უკანასკნელი წარმომადგენელი იყო (გარეული ზარმაცები კონტინენტზე გადაშენდნენ, ხოლო მისს სის სიკვდილის შემდეგ აღარც ტყვეობაში აღარ არსებობენ).

გოფმანის ზარმაცები გავრცელებულები არიან სამხრეთ ამერიკაში, ჰონდურასში, ნიკარაგუიდან პერუმდე და ცენტრალურ ბრაზილიამდე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სანიხო (ბაბესია) ხოხავას!

ჩვენო სიხარულო! დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს – 9 ივნისს. გაიზარდე სასახელო მამულიშვილი. სიხარულითა და სიყვარულით აღსავსე ყოფილიყოს შენი ცხოვრების ყოველი დღე.

ყოფილიყავი იმ ტრადიციების მატარებელი, რომლებითაც შენს წინაპრებს უცხოვრიათ.

უდიდესი სიყვარულით, დიმა ძია, ქეთევან ბებია, ასლან ბაბუ

ასტროპროგნოზი

9 ივნისისთვის

ვერძი – ემოციური განახლების დღეა, საკმაოდ რთული და კონფლიქტური. ერიდეთ საკუთარი აზრის გამოთქმას ხელმძღვანელობასთან. ** კურო** – სამუშაო თქვენგან მტკიცე დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას საკმაოდ იოლად შეძლებთ. **ტყუპები** – ყურადღებით იყავით. სამსახურში მცირეოდენი შეცდომაც კი თქვენს კარიერაზე უარყოფითად აისახება. **კირჩხიბი** – ადრე დაშვებული შეცდომები უთუოდ გააანალიზეთ და საჩქაროდ გამოასწორეთ. ოჯახის წევრებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **ლომი** – დაძაბული დღეა. სამსახურში უფროსობასთან კონფლიქტი გელით. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და ემოციებს არ აჰყვეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დაწყება არ ღირს. შემოთავაზებულ წინადადებას ნუ დათანხმდებით. საეჭვო ხალხთან ურთიერთობას პლანეტები არ გირჩევენ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, მივლინებებისა და საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. ბედი გწყალობთ. **ღრიანკალი** – თავს დაცულად და მშვიდად გრძნობთ. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** – სამუშაო თქვენგან მაქსიმალურ ძალისხმევასა და კონცენტრაციას მოითხოვს. ფინანსები აკონტროლეთ. **თხის რქა** – დროა, ფასეულობები გადააფასოთ. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **მერწყული** – საქმიანი პარტნიორები ნერვებს გიშლიან. გეგმების შეცვლა მოგიწევთ. **თევზები** – შესაძლოა ძველმა მეგობარმა გაწყენინოთ. კარგი იქნება, თუ შექმნილი სიტუაციიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანთ.

გისუჰვეთ ბედნიეჰ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 2. შაქრით, ლიმონის წვენით, ჩაით შეზავებული ცხელი რომი; 3. მთავრობის მეთაური გერმანიაში; 4. ორადგილიანი ველოსიპედი; 5. სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 9. მუსიკალური ნაწარმოები; 12. შტატი აშშ-ში; 14. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 15. კომპიუტერების, ტელეფონების, პლანშეტების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. მუზეუმი მადრიდში; 18. მუსლიმთა სამლოცველო.

თარაზულად: 6. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 7. რაიმეს ნაირსახეობა, სახეცვლილება; 8. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 10. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 11. იტალიელი პოლიციელი; 13. მოწინააღმდეგე კამათში; 17. აშშ-ის პრეზიდენტი; 19. ესპანური დილის სერენადა; 20. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პლანკი; 2. ანანდი; 3. აფინაჟი; 4. ჰიპნოსი; 5. შნიცელი; 7. ვაჩნაძე; 11. ჩაქვი; 12. ფიასკო; 13. „გურიელი“; 14. ფლუგერი; 15. შაკირა; 17. რაპირა; 19. ჰოკუ.

თარაზულად: 5. შაოლინი; 6. ხარფუხი; 8. დაჩი; 9. ტანგო; 10. ეგრისი; 11. ჩილე; 13. „გემრიელი“; 14. ფუქსი; 16. კროსი; 18. ხაიფა; 20. რაშკული; 21. რეპრიზა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფიჯი; 2. აბუჯა; 3. გრილი; 5. აწყური; 6. ფეთხაინი; 9. იპოქონდრია; 10. ბარომეტრი; 11. კატალონია; 14. ობი; 16. ჰამამი; 18. ზმნა.

თარაზულად: 1. ფელახი; 4. ღვარცოფი; 7. შულერი; 8. ლაკმუსი; 12. გორდა; 13. დოკერი; 15. მოსტრა; 17. ოდა; 19. ჟანდარმერია; 20. ყანწი; 21. დაბაღი.

თამაზ კვაჭანტირაძე 77 წლის იუბილეს ახალი წიგნით შეხვდა

ცნობილი ლიტერატორი, რუსთაველის სახელმწიფო პრემიისა და „საბას“ ლიტერატურული პრემიის ლაურეატი თამაზ კვაჭანტირაძე 77 წლის იუბილეს ახალი წიგნით შეხვდა.

დაბადების დღე მან საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში აღნიშნა, სადაც შეკრებილ საზოგადოებას ელექტრონული წიგნი „შოთას სამყაროში“ წარუდგინა. წიგნი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების მე-40 წლისთავს ეძღვნება.

კრებულის პრეზენტაციაზე დაიგეგმა წიგნის ტელევერსიის 25-წუთიანი ფრაგმენტის ჩვენებაც.

კოკა ცქიტიშვილი გარდაიცვალა

ვირტუოზი გიტარისტი და თი ბლუზ მობ ბენდის ვოკალისტი კოკა ცქიტიშვილი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2 წლის წინ გავრცელდა. მუსიკოსის დასახმარებლად მისი მეგობრები სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებას მართავდნენ. ბოლო ერთი თვე ხელოვანი კომაში იმყოფებოდა.

ინფორმაცია კოკა ცქიტიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით პროდიუსერმა გვანცა კილასონიამ გაავრცელა:

– ვახ! როგორ შემეცოდა – კოკა ცქიტიშვილი...

კოკა ცქიტიშვილსა და თი ბლუზ მობ ბენდს კარგად იცნობდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. ის იყო ერთადერთი ჯგუფი პოსტსაბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, რომელიც „ევროპის ბლუზის კავშირში“ მიიღეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გახშირებულმა კორპორატიულებმა ნახევრად შიშველი ქალებით კომპანიის თანამშრომლები შეაშფოთეს

კომპანია Badoo Trading Ltd, რომელიც გაცნობის პოპულარული ვებგვერდის მხარდამჭერია, კრიტიკის ობიექტად იქცა რეგულარული კორპორატიულების გამო, რომლებშიც ნახევრადშიშველი მოდელები მონაწილეობენ.

კომპანიის კადრების განყოფილებამ მთელი რიგი საჩივრები მიიღო წვეულებებისა და მეტისმეტად სექსუალური საოფისე კულტურისთვის. ლონდონის ოფისის რამდენიმე თანამშრომელმა კომპანიიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო.

2015 წელს კომპანიაში კორპორატიულები ყოველ კვირას ეწყობოდა, ამჟამად კი თვეში ერთხელ იმართება. მათ ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა ორ თანამშრომელსა და რამდენიმე დაქირავებულს ევალებოდა, რომლებიც კაბარეში საცირკო წარმოდგენის სპეციალისტები იყვნენ. როგორც წესი, წვეულების ბიუჯეტი 25-დან 45 ათას დოლარამდე აღწევდა, თუმცა ზოგჯერ კომპანია თანამშრომლების გასამხიარულებლად ასობით ათას და მილიონ დოლარსაც კი ხარჯავდა.

სამგლოვიარო განცხადებები

შვილები დავით და მაია ჯინჯოლავები, რძალი ია შალვაშვილი, სიძე გელა ვეფხვაძე ოჯახებით, ძმისშვილები ზაურ და ნატო ჯინჯოლავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პალადი ჯინჯოლავა

პანაშვიდი: 9, 10 ივნისს, 17:00 საათზე, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი (ყოფილი პავლოვის ქუჩა) 29/2, VI სადარბაზო, VI სართული;

გამოსვენება: კვირას, 11 ივნისს, 15 საათზე, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიიდან, ვაჟაფშაველას გამზირი 33 (სამედიცინო ინსტიტუტის მიმდებარედ).

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ნოდიკო ტატიშვილი ალექსანდრე ბასილაიას იუბილეს კონცერტს მიუძღვნის

მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი თავისი პედაგოგის, არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორის ალექსანდრე ბასილაიას 75 წლის იუბილეს კონცერტს მიუძღვნის.

ალექსანდრე ბასილაია იყო კომპოზიტორი, რომელმაც უდიდესი ეპოქა შექმნა თავისი მუსიკით ქართულ საესტრადო ხელოვნებაში, კომპოზიტორი, რომლის სიმღერებიც დღესაც ისეთივე პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს საზოგადოებაში, როგორც 50, 40, 30, 20 წლის წინ, კომპოზიტორი, რომლის შემოქმედებაც მოიცავს მის მიერ შექმნილ პოპულარული ქართულ სიმღერებს, მიუზიკლებს, მუსიკას კინოსა და მულტიპლიკაციური ფილმებისთვის. ალექსანდრე ბასილაია გახლდათ ანსამბლ „ივერიის“ ხელმძღვანელი.

10 ივნისს დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება კონცერტი, რომელიც კომპოზიტორის იუბილეს მიეძღვნება.

ნოდიკო ტატიშვილმა თავის პროექტს „ალექსანდრე ბასილაია – ზღაპარი სიყვარულისა“ უწოდა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სიმფონიური ორკესტრი და დიდი ინსტრუმენტული ბენდი. ნოდიკო ტატიშვილთან ერთად ალექსანდრე ბასილაიას ცნობილ სიმღერებს დუეტში შეასრულებენ ქართული ესტრადის მომღერლები: მარიამ როინიშვილი, მაკა ზამბახიძე, ნეკა სებისკვერაძე, სოფო ხალვაში, სალომე ბაკურაძე, სოფო გელოვანი და თიკა მახალდიანი.

ნოდიკო ტატიშვილი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, რეიტინგული და წარმატებული მომღერალია ქართულ ესტრადაზე, 7 საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, 2009 წლის „ჯეოსტარის“ გამარჯვებული. პროექტის მოგებიდან 2 წლის შემდეგ გამოვიდა მისი პირველი ალბომი სახელწოდებით „მე ქართველი ვარ“. მან სოფო გელოვანთან ერთად საქართველო „ევროვიზიაზე“ წარადგინა და იმ წელს საქართველო ყველაზე მასშტაბური კონკურსის ფინალში მოხვდა. ნოდიკო „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალისტი და ქართული „ვოისის“ მწვრთნელია. მომღერალი 4 წლის განმავლობაში ალექსანდრე ბასილაიას კვინტეტში მღეროდა.

პროექტი სახელწოდებით „ალექსანდრე ბასილაია – ზღაპარი სიყვარულისა“ ნოდიკო ტატიშვილმა პირველად კომპოზიტორის 70 წლის იუბილეზე წარადგინა, 5- წლიანი პაუზის შემდეგ კი მასში ცვლილებები შეიტანა და სიმღერებს უკვე მეგობრებთან ერთად ასრულებს. კონცერტზე შესრულდება ალექსანდრე ბასილაიას სიმღერების ახალი ვერსიები, რომელთა არანჟირებაც მუსიკოსსა და პიანისტ დავით მაზანაშვილს ეკუთვნის.

ქართველმა ბარიტონმა იტალიაში საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა

ახალგაზრდა ქართველმა ბარიტონმა ბაჩო ნაკაშიძემ იტალიაში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა.

საოპერო მომღერალმა რიგით 24-ე ვოკალური კონკურსის „რიკარდო ზანდონაის“ ერთ-ერთი მთავარი პრიზი მოიპოვა.

ბაჩო ნაკაშიძე:

– ძალიან მალე ჩემს საოცნებო პარტიაში მექნება დებიუტი! გავხდი ერთ-ერთი მთავარი პრიზის მფლობელი!

მადლობა აჭარის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის! მათი დაფინანსებით გავემგზავრე იტალიაში!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბარაკ ობამა რვა წელი ერთი და იმავე სმოკინგით დადიოდა

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამა რვა წელი სხვადასხვა ღონისძიებაზე ერთსა და იმავე სმოკინგსა და ფეხსაცმელში ჩნდებოდა. ამის თაობაზე მისმა მეუღლემ მიშელმა ისაუბრა.

ყოფილი პირველი ლედი კონფერენციაზე გამოვიდა, რომელსაც Aplle კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ხოსეში მართავს. ერთ-ერთ შეკითხვაზე პასუხად მან განაცხადა, რომ საზოგადოება ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა მის ჩაცმულობას, მაგრამ საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას მისი მეუღლის უცვლელ კოსტიუმს.

– ის ამით ამაყობდა კიდეც, – განაცხადა მიშელ ობამამ, – მეუბნებოდა: „აი, მე უკვე ჩაცმული ვარ, სულ ათი წუთი დამჭირდა, შენ კი ამდენს დროს რას ანდომებ?“

მან გაიხსენა ხუმრობა მე-20 საუკუნის შუა წლების კინოვარსკვლავ ფრედ ასტერსა და ჯინეეერ როჯერსზე. ცეკვის დროს როჯერს ასტერის მოძრაობების ქუსლებზე წინ და უკან გამეორება უწევდა. ამით ჩვეულებრივ ხაზს უსვამენ, რომ ქალები იძულებულნი არიან, იმავე შედეგის მისაღწევად უფრო მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ.

– ეს დიდი უსამართლობაა, – შენიშნა ყოფილმა პირველმა ლედიმ.

ამერიკელმა პატიმარმა გაქცევის გეგმა გაამხილა

პატიმარმა, რომელსაც სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი და სასჯელს ნიუ იორკის შტატის ქალაქ ობერნის განსაკუთრებული რეჟიმის ციხეში იხდის, ჟურნალისტებს გაუმხილა, თუ როგორ ემზადებოდა გაქცევისთვის.

გორდონ მაუერი, მეტსახელად ვუდი, აპირებდა, ციხის ავეჯის საამქროში ხის ყუთში ჩაყრილ ნახერხის გროვაში დამალულიყო. მას იმედი ჰქონდა, რომ ადგილობრივი ფერმერი, რომელიც რეგულარულად მოდიოდა ნახერხის წასაღებად, მას ვერ შენიშნავდა და საპატიმროდან თავისი სატვირთო მანქანით გაიყვანდა.

მაუერმა იშოვა დამცავი სათვალე და ნიღაბი და ახლობელთან ერთად გაქცევის რეპეტიციას გადიოდა. მისი თქმით, ის ნახერხის გროვაში დამალვას თითქმის ორმოცდაათჯერ შეეცადა. ზოგჯერ ყუთი დატვირთვას ვერ უძლებდა და იმტვრეოდა, მაუერი კი ტრავმებს იღებდა, თუმცა ციხის თანამშრომლებს არაფერი შეუმჩნევიათ.

– სად იყვნენ ზედამხედველები? – ამბობს მაუერი, – როგორ მოვახერხეთ ამ ყველაფრის გაკეთება ისე, რომ ვერავინ ვერაფერი შენიშნა და თქვა?

გაქცევა მას შემდეგ ჩაიშალა, როდესაც ერთ-ერთმა პატიმარმა მაუერის გეგმის თაობაზე ციხის დაცვას აცნობა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

პარასკევი
9 ივნისი

06.00 მუსიკა პირველზე **07.00** დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **11.00** დოკ/ფ "რომაული ელეგანტურობა" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "ყველა კითხვა" **15.00, 03.00** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00** დოკ/ფ "ცნობისმოყვარეობა. უცხოპლანეტელთა შემოსევა. ვართ თუ არა მზად" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** სოციალური თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.00** მხ/ფ "**ხალხის მტრები**" (ჯ.დეპი) **01.20** მხ/ფ "**რედ როკი**"(ნ.კეიჯი) **04.00** "რეალური სივრცე"

08.00 დოკ/ფ "ლუტიცია და მისი მგლები" **09.00** დოკ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დოკ/ფ "კოფი ანანი" **11.05** დოკ/ფ "ლანსის ლუვრი-დროის გალერეა" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**ქედრის ყურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩინეთი ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" **15.00** დოკ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **16.00** დოკ/ფ "კრისტიან ბოლტანსკის შესაძლო ცხოვრებები" **17.00** დოკ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **18.00** დოკ/ფ "ინსტრუქცია ამერიკის ქალბატონი პრეზიდენტისათვის" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "ეპიცენტრი" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**ქატერინა და მისი ქალიშვილები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.50** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პაპარაჭალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ "**მშვიდობის მყოფელი**" **02.00** მხ/ფ "**რომეო და ჯულიეტა**" **04.05** მხ/ფ "**პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან 2**"

06.00 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული ნლები**" **18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **40 00.00** სერ. "**სამშობლო**" **1**

09.00 სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**ბრეის ანატომია**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**შავი სია**" **21.00** სერ. "**მაფიოზა**" **22.30** მხ/ფ "**რობოკოპი**" **00.30** მხ/ფ "**კუნძული**" **02.55** მხ/ფ "**რისხვი 23**"

06.15 კვირიაკე **07.10** დ/ფ "ველური ბუნება"-ველური სპილოების გაზაფხული **07.35** წმინდანები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** "მსოფლიო საგანძური" **10.40** თბილისის ტაძრები-"ზემო ბეთლემი" **10.45** ძველი აფინა-"მარტოობის დღესასწაული-ფიროსმანი" **11.20** "ერთსულოვანი ოჯახი" **12.10** მხ/ფ "**თუში მეხსვარე**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.20** სამყაროს შექმნა **15.30** სად უჩინარდებიან ჩემპიონები "ნელი სალაძე" **16.00** კონცერტი "აღდგომიდან ამაღლებამდე"-"ნორმა" II ნან. **17.05** დ/ფ **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**თუში მეხსვარე**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "კავთურის ხეობა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ივერიის ეკლესია-"საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "უინძორების სასახლე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია"მაშა და დათვი" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **0.00, 2.00** "კონტაქტი" **0.30** დოკ/ფ "მედიუმი ლონგ აილენდიდან"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4088
- ევრო — 2.7022
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.109
- 100 რუსული რუბლი — 4.2482

ამინდის პროგნოზი 9 ივნისისთვის



1 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი
გამქრალი ოცნებანი
წიგნი I

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

6 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი
გამქრალი ოცნებანი
წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

9 ივნისიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ანეკდოტი

შვილი დედას ეკითხება:
– დედა, მართლა შემთხვევით გამოვედი?
– შვილო, გულახდილად გეტყვი, არცთუ ისეთი გამოხვედი...

•••

მაღაზიაში მყიდველი გამყიდველს ეკითხება:
– ეს გენმოდიფიცირებული სტაფილოა?
გამყიდველი:
– არა, რატომ კითხულობთ?
სტაფილო:
– მართლაც, რატომ კითხულობთ?

•••

რესტორანში მამაკაცმა ოფიციანტი თავისთან იხმო, ათ ლარიანი მიწოდა და ეუბნება:
– მირჩიეთ რამე.
ოფიციანტმა ფული ჯიბეში ჩაიდო და ყურში ჩასჩურჩულა:
– სასწრაფოდ წადით!

•••

ქართულის გაკვეთილი სკოლაში. მასწავლებელი კითხულობს:
– ვინ წაიკითხა თავიდან ბოლომდე „ვეფხისტყაოსანი“?
– რა, უნდა წაგვეკითხა? – კითხულობს ერთ-ერთი მოსწავლე.
– რა თქმა უნდა.
– ჰოო, მე კი გადავწერე.

•••

ცოლი ოთახში შეიხედავს და ქმარს ეუბნება:
– ადექი, ნაგავი გადაყარე.
ქმარმა მძიმედ ამოიხვნეშა და უპასუხა:
– ახლახან დავჯექი!
– და რას აკეთებდი?
– ვიწექი!

•••

ღამით ცოლი და ქმარი საწოლში წვანან. ქმარი ცოლს მოეხვია და მოფერება მოუნდომა, მაგრამ ცოლმა შეაჩერა:
– თავი ძალიან მტკივა, ძალიან დავიღალე...
– კარგი, მაშინ ჩვენს მეზობელ ლამარასთან გადავირბენ, წამალს გამოვართმევ და ერთ საათში დავბრუნდები...

•••

კაცმა ზღვის სანაპიროზე გამორიყული ბოთლი იპოვა, იფიქრა, იქნებ მასში ჯინი ზის, თითს გავუსვამ, იქნებ მართლა ამოვიდესო. უსვამს ნახევარი საათი, ერთი საათი, ორი საათი, ბოლოს დაიღალა და ამ დროს ბოთლიდან ხმა ესმის:
– საცობი მოაძრე, უტვინო!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

ტერეზა მეის გიგანტურმა ფიგურამ ევროპას შეურაცხმყოფელი ჟესტი აჩვენა

უცნობმა პირებმა დიდ ბრიტანეთში დუვრის თეთრ კლდეებზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის გიგანტური ფიგურა დადგეს, რომელიც ევროპას შეურაცხმყოფელ ჟესტს აჩვენებს.

ფიგურა შემოსილია დიდი ბრიტანეთის დროშის ფერებში შესრულებული კაბით. მარცხენა ხელის საჩვენებელი და შუა თითი ზევითაა აღმართული ლათინური ასოს „V“-ს ფორმით, ამასთან, ხელის მტევანი ზურგის მხარით წინისკენ იყო შებრუნებული. დიდ ბრიტანეთში ასეთი ჟესტი შეურაცხმყოფელად ითვლება.

ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, ფიგურაზე მუშაობა ჯერ კიდევ პარასკევს დაიწყეს და სამი დღე გრძელდებოდა. სამშენებლო მოედანზე მინიმუმ 12 ადამიანი მუშაობდა და მათ ამწეც ჰყავდათ. ფიგურის გამოჩენიდან მცირე დროში მისი დემონტაჟი განხორციელდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მანჩესტერ იუნაიტედი ალვარო მორატაში 69 მილიონს იხდის

მანჩესტერ იუნაიტედი მზად არის, მადრიდის რეალის ფორვარდ ალვარო მორატას ტრანსფერში 69 მილიონი ევრო გადაიხადოს.

რეალმა 60 მილიონად მორატას გაყიდვაზე უარი თქვა, ამიტომ მანჩესტერმა ფასს მოუმატა, თუმცა შესაძლოა რეალმა ისევ უარი თქვას, რადგან მორატამ გასული სეზონი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა.

თვითონ მორატა რეალის დატოვებაზე ფიქრობს, რადგან ის არ არის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი.

მორატა მადრიდის რეალის აღზრდილია და სამეფო გუნდში ადრეული ასაკიდან თამაშობს.

დიეგო კოსტა შეიძლება მილანში ვიხილოთ

ლონდონის ჩელსის ფორვარდი დიეგო კოსტა, სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს ჩელსის დატოვებს და კარიერას სხვა კლუბში გააგრძელებს.

კოსტამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ახალი გამოწვევები აინტერესებს და სურს, სხვა კლუბში ცადოს ბედი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფეხბურთელის აგენტი მილანში იმყოფება, სადაც ის მილანის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს დიეგო კოსტას ამ გუნდში შესაძლო ტრანსფერის თაობაზე.

სავარაუდოდ, ჩელსი თავის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს იოლად არ დათმობს და მილანს ხელმძღვანელებს ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევთ.

დიეგო კოსტას გარდა, მილანი ზაფხულში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის შეძენას აპირებს.

რუბინიდან ხავი გრასია გაუშვეს

ყაზანის რუბინმა ესპანელი სპეციალისტი ხავი გრასია დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა და რუბინს ყურბან ბერდიევი უხელმძღვანელებს.

გრასიამ რუბინში ერთი წელიწადი გაატარა და ამ გუნდის ხელმძღვანელობა მისი მუშაობით უკმაყოფილო დარჩა, რადგან რუსეთის ჩემპიონატში გრასიას შეგირდებმა მე-9 ადგილი დაიკავეს.

აღსანიშნავია, რომ სეზონის დასაწყისში გრასიამ აითვალწუნა ქართველი მცველი სოლომონ კვერკველია, რომელიც იძულებული გახდა, მწვრთნელის გამო რუბინიდან წასულიყო.

დანი ალვესმა იუვენტუსისგან კონტრაქტის გახანგრძლივება მოითხოვა

ტურინის იუვენტუსის ბრაზილიელმა მცველმა დანი ალვესმა განაცხადა, რომ თუ მას კონტრაქტს არ გაუხანგრძლივებენ, იუვენტუსს დატოვებს.

დანის სურს, მისი კონტრაქტი 2019 წლამდე იყოს გათვლილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სხვა გუნდის ძებნას დაიწყებს.

ალვესი ამჟამად 33 წლის არის და მისი ყიდვა საკმაოდ ბევრ გუნდს სურს, განსაკუთრებით მანჩესტერ სიტი აქტიურობს, რომლის მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა ალვესს ძალიან კარგად იცნობს, რადგან ისინი რამდენიმე სეზონი ერთად მუშაობდნენ ბარსელონაში.

ბრაზილიელ მცველს ჩინური გუნდებისგანაც აქვს შეთავაზებები, მაგრამ ჩინეთში თამაშზე მან უარი თქვა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ზღვის ტალღებისგან ნავსადგურის დამცავი გრძელი ჯებირი; 2. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. ფინეთის პარლამენტი; 5. მდინარე სამეგრელოში; 6. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 9. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი; 11. იაპონური რესტორანი; 14. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 16. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება; 18. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

თარაზულად: 1. ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 4. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ბურგუნდიული ღვინოების წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი საფრანგეთში; 8. თაღლითის, მატყუარას ძველი ქართული სახელწოდება; 12. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 13. უნივერსიტეტი მადრიდში; 15. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 17. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 19. ქართველი მგოსანი; 20. საარყე ტიკჭორა; 21. ბელორუსიის დედაქალაქი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა